დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა, ბაკალავრიატი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
9/ 11/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
12 იანვარი,2023

თბილისი

შინაარსი

I. 4II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო ჯოჯუა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მარიამ კილანავა, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**სოფიო ბაზაძე, შპს - ევროპული სკოლის დირექტორი**
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო ქიმერიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო ჯავახიშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of English Philology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	ინგლისური ენის სწავლება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით).
სწავლების ენა	ინგლისური ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილების ნომერი #433, თარიღი 09/12/2011
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] **მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში**

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამა ხორციელდება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატში) 2011 წლიდან. აქედან მოყოლებული, პროგრამის დახვეწისა და სტუდენტების ინტერესებზე მისი მეტად მორგების მიზნით პროგრამაში 7 მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა და დაინერგა, რომლებიც შეეხო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს, ასევე სტუდენტების შეფასების მექანიზმებს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; ასევე ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ჩასწორდა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და განისაზღვრა, როგორც „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of English Philology“. გარდა ამისა, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესახებ 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად, ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რამაც, თავის მხრივ, შედეგების არაპირდაპირი შეფასების ანალიზთან ერთად განაპირობა მთელი რიგი ცვლილებებისა პროგრამის შინაარსში, კრედიტების გადანაწილებასა და კონკრეტული კურსების დამატება/ამოღება/ მოდიფიკაციის სახით.

ყველაზე მსხვილი ცვლილება განხორციელდა 2022 წელს უშუალოდ პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში; კერძოდ, ,,.ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირდა ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 60 კრედიტის მოცულობით. პროგრამის გავლა არჩევითია სტუდენტებისთვის. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი აიღებს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, მისი დაძლევის შემთხვევაში დიპლომსა და დიპლომის დანართში მიეთითება აგრეთვე ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლება. ზემოთ ხსენებული პროგრამის გავლის შემთხვევაში ეს არის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ინგლისური ენის სწავლება. თუ სტუდენტი არ მოინდომებს მასწავლებლის მომზადების პროგრამის აღებას, მას უფლება აქვს აიღოს ამ პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი წინაპირობების დაცვით თავისუფალი კრედიტების ფარგლებში” (ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვან პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები წლების მიხედვით, გვ. 8-9).

შესაბამისად, რეაკრედიტაციისათვის მომზადებული ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა დღეის მდგომარეობით მოიცავს 240 კრედიტს (სავალდებულო, არჩევითი და მასში ინტეგრირებული 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამისა და თავისუფალი კომპონენტის ჩათვლით), რომელიც გადანაწილებულია 4 სასწავლი წლის 8 აკადემიურ სემესტრზე.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2022 წლის 9 ნოემბერს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 13 ოქტომბრის (MES 2 22 0001294304) ბრძანების საფუძველზე შპს შავი ზღვის

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

საერთაშორისო უნივერსიტეტში სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომელიც განხორციელდა აკრედიტაციის დებულებაში (მუხლი 26, გვ. 11) აღწერილი პროცედურის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი სამუშაო გარემოში შეხვდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით განსაზღვრულ პროგრამაში ჩართულ პერსონალს; კერძოდ, უნივერსიტეტისა და სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, თვითშეფასების ჯგუფში ჩართულ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებს, ასევე პროგრამის ამჟამინდელ სტუდენტებსა და კუსდამთავრებულებს, რომლებთანაც ინტერვიუს შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა არსებულ და პოტენციურ დამსაქმებელსა და სტაჟირების განმახორციელებელ პირებს, დაბოლოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს.

აკრედიტაციის ვიზიტის დადგენილი რეგლამენტის თანახმად, ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები (ბიბლიოთეკა, საგამოცდო ოთახები, საკონფერენციო დარბაზები, საკლასო ოთახები, სტუდენტებისთვის გამოყოფილი თავისუფალი სივრცე და სხვ.) და გამოითხოვეს კონკრეტული დოკუმენტაცია. სააკრედიტაციო ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა ინგლისურენოვანი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მაძიებელ პერსონალს ვიზიტისა და მისი წინარე მუშაობისას პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გააცნეს.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის მომზადებაში მონაწილე ყველა პირს დროული, შეუფერხებელი და ეფექტური მუშაობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი) შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, კომპონენტები **1.1.; 1.2.; 1.3.; 1.5.-** მეტწილ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. კომპონენტები **1.4.; 2.1.;2.2.;2.3; 2.4.;3.1.;4.1.;4.3.;4.4.;4.5; 5.1.;5.2; 5.3** -სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. შესაბამისად,

სტანდარტი 1: მეტწილ შესაბამისობაშია

სტანდარტი 2: სრულ შესაბამისობაშია

სტანდარტი 3: სრულ შესაბამისობაშია

სტანდარტი 4: სრულ შესაბამისობაშია

სტანდარტი 5: სრულ შესაბამისობაშია

რეკომენდაციები

1.1. კომპონენტთან მიმართებაში

- მიზანშეწონილია ინგლისური ენის კომპეტენციის დონედ ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს C1 დონე (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად).

1.2. კომპონენტთან მიმართებაში

- საჭიროა, შრომის ბაზრის მზარდი კონკურენტული გარემოსთვის სტუდენტთა მაქსიმალურად მომზადების მიზნითა და მათი დასაქმების რეალური პერსპექტივების გათვალისწინებით, ბიზნესისა და პროგრამაში დასახელებულ დასაქმების სფეროებთან - ტურიზმი და მას-მედია ასოცირებული აქტივობების გამრავალფეროვნება, კონკრეტულად,

  - ✓ ბიზნესის, ტურიზმისა და მას-მედიის მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის გავლა, ან პროგრამაში აღნიშნული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის მითითება. ბიზნესსა და ტურიზმთან მიმართებით, ასევე განიხილება ,,ინგლისური ენის, როგორ უცხო ენის სწავლების (TEFL)" სპეციალური მიმართულებიდან "ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის (ESP) " შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის- ბიზნეს ინგლისურის, ინგლისური ტურიზმისთვის ან კომბინირებული ვერსიის ,,ინგლისური ბიზნესისა და ტურიზმისთვის" (English for Business and Tourism) დამატების შესაძლებლობა..

1.3 კომპონენტთან მიმართებაში

- აუცილებელია, პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების გადახედვა ინგლისური ენის კომპეტენციის C1 დონეზე დამადასტურებელი შედეგის შეფასების კუთხით.

1.5 კომპონენტთან მიმართებაში

- მნიშვნელოვანია, მოხდეს უცხო ენების კურსების კრედიტთა შესაბამისი გადანაწილება პროგრამით გათვალისწინებულ რაოდენობასთან (20 კრედიტი) მიმართებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.1 კომპონენტთან მიმართებაში

- ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია, საერთაშორისო გამოცდილების მიღების კუთხით სტუდენტების მეტად გააქტიურება.

2.1. კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია, პროგრამის მიღების წინაპირობაში მოცემული იყოს კონკრეტული რიცხობრივი მაჩვენებლები საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან საერთაშორისო სერტიფიკატების წარმოდგენის შემთხვევაში.

2.3. კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია კურსში - „აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევები“ უფრო მეტად გამოიკვეთოს მეთოდის, შედეგისა და მოცემული/პრაქტიკულად გამოყენებული ლიტერატურის ურთიერთმიმართება.

5.3. კომპონენტთან მიმართებაში

- სასურველია, თუ დაწესებულება, გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციიდან დამატებითი მოდულის ამოქმედების შემდეგ განახორციელებდა მონიტორინგს და იმსჯელებდა ახალი მოცემულობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და დასახვეწ დეტალებზე.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა პირველია საქართველოში, რომელშიც ინტეგრირდა სწავლების მეთოდიკაზე ორიენტირებული კურსები, რაც სტუდენტებს, სურვილისამებრ, ინგლისური ენის მასწავლებლად საწყის ეტაპებზე ლეგალურად და კომპეტენტურად დასაქმების შანსს აძლევს, ექსპერტთა ჯგუფისათვის აღნიშნული პრაქტიკა მეტად ღირებული და მისასალმებელია.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურების თანახმად, შპს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერისიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ აკრედიტაციის დასკვნის პროექტზე. ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის პოზიციის ყურადღებით გაცნობის შემდეგ მხოლოდ ნაწილობრივ გაიზიარა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოსაზრება, რაც შესაბამისად აისახა წინამდებარე დასკვნაში; კერძოდ, 1.1., 1.3., და 1.5. კომპონენტთან მიმართებაში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა კონტრ-არგუმენტებმა ვერ გააბათილა ექსპერტთა მიერ შემუშავებული, პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების მნიშვნელობა, ხოლო, რაც შეეხება 1.2 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას, ექსპერტებმა გაიზიარეს უნივერსიტეტის მოსაზრება და შეიმუშავეს მოდიფიცირებული რეკომენდაცია მოცემულ კონპონენტთან მიმართებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზით დაადსტურდა, რომ პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიასთან იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფს დემოკრატიული ღირებულებების მქონე და თანამედროვე ინტერნაციონლური სამყაროსთვის აკადემიურად მომზადებული, ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიონალების გამოშვებას, რომლებსაც გააზრებული აქვთ დადებითი სამუშაო გარემოსა და ხარისხიანი განათლების როლი საზოგადოების განვითარებაში.

სააკრედიტაციო ვიზიტისა და ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზით ასევე დადასტურდა, რომ ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზანი, მოამზადოს ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი, ითვალისწინებს ინგლისური ფილოლოგის სფეროს თავისებურებებს და გათვლილია ისეთ ინგლისური ენის მცოდნე სპეციალისტზე, რომელსაც ფილოლოგიის ფართო თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევები გააჩნია; კერძოდ, შეუძლია უცხო ენის ისეთი მრავალფეროვანი მიმართულებით გამოყენება, როგორიცაა სამიზნე ენაზე ტექსტების ანალიზი, ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, ასევე მასალის თავისუფლად წარდგენა როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუს ანალიზით ასევე დადგინდა, რომ მოცემული მიზანი რეალისტური და მიღწევადია, განსაკუთრებით პროგრამის სწავლების ენის, ინგლისურისა და მასში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამის გათვალისწინებით, რომელიც მეტწილად სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა და რომელიც, პროგრამის პერსონალისა და ექსპერტთა აზრითაც,

გარკვეულწილად განაპირობებს კიდეც პროგრამის უნიკალურობას. მისი საშუალებით, პროგრამა ეფექტურად ეხმიანება ინგლისური ენის ფილოლოგისადმი თანამედროვე შრომითი ბაზრის მიერ წაყენებულ მოთხოვნას, ამჟღავნებდეს არამარტო ინგლისური ენის კომპეტენციას სიღრმისეულ დონეზე, არამედ ლეგალურად შეეძლოს პედადოგიური საქმიანობა, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლება საბაზისო დონეზე, რაც მოცემული პროგრამის ფარგლებში რეალურად უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილობრივად დასაქმებასა და სამიზნე ენის პრაქტიკულ აპლიკაციას კონკრეტულ ინსტიტუციებში.

ამას მოწმობს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტიტეს მიერ თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე სხვა ორგანიზაციებთან ერთად (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი და შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი) 2019 წელს ჩატარებული შრომითი ბაზრის ანალიზი, რომლის ფარგლებშიც ჯამში გამოიკითხა 1200 კომერციული, არაკომერციული და სახელმწიფო ორგანიზაციის 1176 თანამშრომელი. ჩვენთვის რელევანტურია განათლების სფეროში მოღვაწე 118 ორგანიზაციის გამოკითხვის შედეგები, რომლებთაგანაც 9% -მა სამუშაო გამოცდილების შემდეგ დასაქმებისთვის პრიორიტეტულ სპეციალობად ფილოლოგია (5% ინგლისური ფილოლოგია, 4% ქართული ფილოლოგია) დაასახელა, ხოლო საჯარო, არაკომერციული ორგანიზაციების უმეტესობამ (18 % -მა) უპირატესობა სამედიცინო განათლებასთან ერთად პედაგოგიკას მიანიჭა. კერძო დამსაქმებელლის 5%-იც ფილოლოგიას ასახელებს პრიორიტეტად, ხოლო 7% პედაგოგიკას, ჩამონათვალში აღრიცხული 48 აკადემიური პროგრამიდან (შრომის ბაზრის კვლევა. გვ. 4-8).

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული შრომითი ბაზრის კვლევა საერთაშორისო ბაზრის საჭიროებების ანალიზს არ მოიცავს, ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუზე გაარკვია, რომ ამჟამად პროგრამას 14 საერთაშორისოდ დასაქმებული, უფრო კონკრეტულად კი 13 საზღვარგარეთ და 1 საერთაშორისო ენის ცენტრში მომუშავე კურსდამთავრებული ჰყავს, რომელთაგანაც დაახლოებით 57 % (8 პირი) ინგლისური ენის სკოლაშია დასაქმებული, დანარჩენი კი ტურიზმისა და ბიზნესის სფეროებში, რაც, ექსპერტთა აზრით, სრულად შეესაბამება პროგრამის მიერ გამიზნულ დასაქმების სფეროებს.

რაც შეეხება ენობრივი კომპეტენციის დონის შესახებ პროგრამაში გათვალისწინებული მიზნის ,,კურსდამავრებულები ფლობდნენ ინგლისურ ენას (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა) B2- C1 დონეზე (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად)“ დასახვა-გაფორმებას, ექსპერტთა ჯგუფს აქვს კონკრეტული მოსაზრება და შესაბამისი რეკომენდაცია: 1. სამიზნე დონის ამგვარი ფორმულირება პროგრამაში ბუნდოვანია და **ნათლად არ ასახვს თუ რა კონკრეტული ენობრივი კომპეტენცია უნდა გააჩნდეს კურსდამთავრებულს მითუფრო მაშინ, როცა აღნიშნული** 2 დონე არსებითად განსხვავდება ერთამენთისგან საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით.

ინტერვიუზე, ცხადია, დაისვა ეს საკითხი და როგორც გაირკვა, საქართველოს მოქალაქეებისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ეროვნულ გამოცდაზე ინგლისურ ენაში 60+1 ქულიანი ბარიერის მხოლოდ სამი წლის წინ განსაზღვრა, პროგრამის პერსონალის მიხედვით, ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს განსხვავებულ პირობებში აყენებს. შესაბამისად, გარკვეული მსჯელობის შემდეგ პროგრამის პერსონალმა ამ პრობლემის გადაჭრა სწორედ 2 სამიზნე დონის განსაზღვრით გადაწყვიტა. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ამ არგუმენტს, რადგან 1) ამ ეტაპისთვის ეროვნულო გამოცდის ფორმატისა და შინაარსის გათვალისწინებით 60 + 1 ქულა (80 დან) არ არის ისეთი მაღალი ბარიერი, რომ აბიტურიენტთა მიერ ინგლისური ენის ცოდნის სურათი მკვეთრად შეცვალოს; 2) პროგრამას

საკმარისი დრო-4 წელი და ყოველგვარი რესურსი (როგორც ადამიანური, ასევე მატერიალურ-ტექნიკური) გააჩნია იმისა, რომ ჩამორჩენილი სტუდენტები ინდივიდუალური ტუტორინგისა თუ სხვა მეთოდის საშუალებით გააძლიეროს. აქვე აღსანიშნავია, რომ როგორც სტუდენტებთან ინტერვიუდან გაირკვა, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ირჩევენ C1 დონის ინგლისური ენის კურსს უნივერსიტეტში არსებული ენების ცენტრიდან (International Black Sea University School of Languages), რომელიც, ასევე 1 წლიან ინტენსიურ მოსამზადებელ კურსს სთავაზობს მათ, ვინც დაბალ დონეზე იცის ინგლისური ენა. როგორც გაირკვა, სტუდენტები ერთმანეთს ურჩევენ კიდეც ამ კურსის აღებას, რადგან მიაჩნიათ, რომ გამოადგებათ სამომავლოდ კარიერული წინსვლისთვის. ექსპერტების აზრით, ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ მოცემული დონის გამომუშავების საჭიროება რეალურად არსებობს. 3. საინტერესოა, ის ფაქტიც, რომ შრომის ბაზრის კვლევისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის მიხედვით, კურსდამთავრებულების გარკვეული ნაწილი საქმდება ინგლისური ენის პედაგოგებად ენის ცენტრებშიც, სადაც მათ უწევთ სხვადასხვა დონის ჯგუფების სწავლება. როგორც დამსაქმებელთან ინტერვიუზე აღინიშნა, პროგრამის კურსდამთავრებულები ხშირად C1 დონეზე ასწავლიან, რაც ავტომატურად მოითხოვს მათ მიერ აღნიშნული დონის ფლობას, და რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ექსპერტებისთვის შემდეგი რეკომენდაციის გაცემისა:

ზემოთთქმული მიზეზებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის, სფეროს სპეციფიკისა და მზარდი კონკურენტუნარიანი გარემოს გათვალისწინებით **სამიზნე ენობრივ კომპეტენციად ერთმნიშვნელოვნად პროფესიული ინგლისური ენა, ანუ C1 დონე უნდა განისაზღვროს** მითუფრო მაშინ, როცა პროგრამის პერსონალიცა და კურსდამთავრებულებიც პროგრამის ერთერთ მთავარ ღირსებად მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის ინტეგრირებასთან ერთად მაღალი ენობრივი კომპეტენციის ფლობას ასახელებენ. მიუხედავად იმისა, რომ B2 დონეც აღიქმება როგორც ინგლისური ენის ფლობა მაღალ დონეზე, C1 -გან განსხვავებით ის არ გულისხმობს ენის სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებით გამოყენებას, რაც ინგლისური ფილოლოგიის სფეროსთვის რელევანტური და მნიშვნელობის მატარებელი განსხვავებაა.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული რეკომენდაციის საჭიროების დასაბუთებისას ექსპერტების მიერ მოყვანილ არგუმენტებთან მიმართებით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიციის დოკუმენტში ჩამოყალიბებული კონტრ-არგუმენტები, კერძოდ, 1) ის, რომ მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის სტუდენტები ირჩევენ C1 დონის ინგლისური ენის კურსს უნივერსიტეტში არსებული ენების ცენტრიდან, ისიც ,,III-IV სემესტრებში მხოლოდ მაშინ, თუ სტუდენტი ამ პერიოდში საქმდება ენების ცენტრში"; 2) მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულებმა შეიძლება ასწავლონ C1 დონის ჯგუფებს ენების ცენტრებში; და ასევე ის, რომ 3) ინგლისური ენის მასწავლებლობის მაძიებელმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე და არა C1 -ზე, მოცემული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპერტებისთვის ვერ აბათილებს ყველა სტუდენტისათვის სამართლიანად და ჯანსაღად კონკურენტუნარიანი, მოტივაციის მიმცემი, კარიერულ წინსვლასა და აკადემიური თუ პიროვნული პოტენციალის მაქსიმალურ ათვისებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის დადებით მხარეებს. აქედან გამომდინარე, მოცემული რეკომენდაცია კვლავ ძალაში რჩება.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დადასტურდა მისი მიზნების სრული შესაბამისობა უნივერსიტეტის 2018-2025 წლების სტრატეგიულ გეგმასთან;

მაგალითისთვის, პროგრამა სრულად ინგლისურენოვანია და მასში ჩართულია 5 უცხოელი პროფესორ-მასწავლებელი მოწვეულ ლექტორებად (მაგ., აბიგაილ და ჯეიკობ პოლ რეიდები, ასევე როს ტომფსონი, კევინ რი ჰირში და სხვ. რომლებიც უძღვებიან სხვადასხვა სასწავლო კურსებს), რაც პირდაპირ ეხმიანება უნივერსიტეტის სტრატეგიული ფუნქციონირებისა და დაგეგმვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს - ინტერნაციონალიზაციას.

ამ უკანასკნელის გაძლიერება-განვითარებას უნივერსიტეტი ინგლისურენოვანი კურიკულუმების შემუშავებისა და უცხოელი პედაგოგების მოწვევის გარდა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილების გზით, საერთაშორისო კვლევითი სახის თანამშრომლობის გაძლიერებით, მზარდი რაოდენობის უცხოელი სტუდენტის მიღებითა და საერთაშორისო უცხოენოვანიკონფერენციებით ახორციელებს(სტრატეგიული გეგმა 2018-2025 წწ. გვ. 38). აქედან კონკრეტული პროგრამის ფარგლებში თითქმის ყველა მათგანი დადასტურდა (მაგ., პროგრამაზე არსებული უცხოელი სტუდენტები (სულ 14); პროგრამის აკადემიური პერსონალისა და 1 კურსდამთავრებულის მიერ ინდივიდუალური და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით განხორციელებული საერთაშორისო პუბლიკაციები, მათი საერთაშორისო კონფერენციებში, ასევე საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, გაცვლით პროგრამებში მონაწილების გააქტიურების მიზნით სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების ფართო არჩევნის შეთავაზება, და სხვ.), ამასთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ, სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებისათვის საერთაშორისო გამოცდილების მნიშვნელობაზე აქცენტირება და მათი მეტად გააქტიურება ამ კუთხით, მითუფრო მაშინ, როცა მათ უნივერისტეტისა და პროგრამის პერსონალის მხრიდან ყოველგვარი ხელშეწყობა აქვთ,

აკრედიტაცის ვიზიტმა და თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები სრულად არის გაზიარებული პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ, რომელიც სიღრმისეულად ერკვევა პროგრამის მიზნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხში. აშკარაა, პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში სტუდენტებისა და დამსაქმებლის მონაწილეობაც. სწორედ მათი აქტიური ჩართულობის შედეგად ინტეგრირდა პროგრამაში 60-კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა.

მოცემული პროგრამა განთავსებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები;
- ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია, მიზნები დ სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- შზსუ-ს ვებგვერდი - https://ibsu.edu.ge;

- შზსუ-ს სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლებისა მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდი - https://ibsu.edu.ge/ge/faculty-sseduhum.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია ინგლისური ენის კომპეტენციის დონედ ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს C1 დონე (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია, ზოგადად საერთაშორისო გამოცდილების მიღების კუთხით სტუდენტების მეტად გააქტიურება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	■	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 10 შედეგი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით შესაბამის მე- 6 დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს - ენის დაუფლება და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი. კერძოდ, პროგრამით გათვლისწინებული შედეგები პირდაპირ შეესაბამება დეტალურ სფეროში მოცემულ აღწერილობას: „...შეისწავლის ენის სტრუქტურასა და კომპოზიციას, რომელიც ისწავლება როგორც მეორე ან უცხოური ენა. ის მოიცავს შესაბამისი კულტურის, ლიტერატურის, ლინგვისტიკის და ფონეტიკის შესწავლასაც… “ (სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, გვ.12).

ექსპერტთა აზრით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ასევე ლოგიკურად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ასახავს სტუდენტის მიერ ასათვისებელ ცოდნასა და მის გაცნობიერებას, უნარებს, ასევე პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რასაც კურსდამთავრებულები აღწევენ პროგრამის დასრულების შემდეგ (მაგ., ცოდნა და გაცნობიერება -,,... იცნობს და განასხვავებს ინგლისური ენის ფონოლოგიურ და ფონეტიკურ და ლექსიკურ-სტილისტურ ერთეულებს და მახასიათებლებს; უნარი - არჩევს და აგროვებს დარგის შესაბამის მასალებს ინგლისურ ფილოლოგიაში მცირე მასშტაბის კვლევის ჩასატარებლად; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზების და დროის მართვის უნარს '' (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, გვ. 6).

*პროგრამის მიზნებისა და შედეგების კორელაციასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციამ პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზნის - ენობრივი კომპეტენციის ერთმნიშვნელოვნად C1 დონით განსაზრვრასთან დაკავშირებით (იხ. კომპონენტი 1.1.), რომელსაც სწავლის შედეგებიდან #5- შეესაბამება, გაზიარების შემთხვევაში აღნიშნული შედეგის ფორმულირების ცვლილებაც უნდა გამოიწვიოს და ჩასწორდეს შესაბამისად.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას, რამდენადაც მასში გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტი როგორც დამოუკიდებლად არსებული საბაკალავრო ნაშრომის, ასევე კონკრეტულ კურსებში- ,ესეს წერა", ,,აკადემიური წერა", ,,ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევისა და შესწავლის უნარები": ,,საბაკალავრო ნაშრომი - ჩაშენებული კვლევითი კომპონენტის საშუალებით.

პროგრამით გათვლისწინებული შედეგები ასევე რეალისტური და მიღწევადია; კერძოდ, პროგრამის კურსდამთავრებულების 2020 2021წ. დასაქმების, ასევე კურსდამთავრებულებსა და პოტენციურ დამსაქმებელთან ინტერვიუს შედეგების ანალიზი, ცხადყოფს, რომ სტუდენტების დასაქმების არეალი ფართოა და პროგრამის კურსდამთავრებულები რეალურად საქმედებიან პროფესიული ნიშნით პროგრამით გათვალისწინებულ სფეროებში: ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, სკოლებში, ენის ცენტრებში ინგლისური ენის პედაგოგებად, სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებში, დიპლომატიური წარმომადგენლობების, ტურიზმისა და მას-მედიის ცენტრებში (მაგ. კერძო კომპანია „GSG" Private company "GSG", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კომპანია Evolution Global;, Evolution Gaming და სხვ.) ინგლისური ენის სპეციალისტებად, თუმცა აქ ერთი გარემოებაა საყურადღებო. 2020-2021 წლების კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზის მიხედვით, დიდი წილი არსებული დასაქმებისა, თვითდასაქმების გამოკლებით (20 -დან 10) დასაქმებულია ინგლისური ენის პედაგოგად; 1 - დასაქმებულია ინგლისურენოვანი ტექსტის რედაქტორად, ხოლო დანარჩენი- ბიზნესის სფეროსთან ასოცირებულ პოზიციებზე (მაგ., სერვის მენეჯერი, პროექტის ასისტენტი, ვიდეო თამაშების ინგლისურენოვანი წარმდგენი, ადმინისტრატორი, გაყიდვების წარმომადგენელი და სხვ,), რისთვისაც ინგლისურ ენაზე, ე.წ. პროდუქციული უნარების " (Productive skills) - წერა და ზეპირმეტყველება - ფლობასთან ერთად აუცილებელია ბიზნესის ბაზისური უნარ-ჩვევების დადასტურებაც.

ამას გარდა, შრომითი ბაზრის ანალიზის დოკუმენტში (შრომითი ბაზრის ანალიზი, გვ. 11-12) გამოკვეთილი მოთხოვნა კონკრეტულ კომპეტენციებზე პოტენციური დამსაქმებლის მხრიდან ძირითადად ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში (მაგ. გამართულად წერის და მეტყველების უნარი = ,,წერილობითი და/ან ზეპირი ფორმით აყალიბებს..." (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, სწავლის შედეგები, #8)), თუმცა, მიუხედავად პროგრამის

შემადგენელი სავალდებულო და არჩევითი საგნების მრავალფეროვანი და საკმაოდ საინტერესო ჩამონათვალისა, ექსპერტებს დააკლდათ უშუალოდ ბიზნეს სეგმენტზე მორგებული თუნდაც ტერმინოლოგიური შინაარსის მქონე საგანი ან ამ მიმართულებით განმავითარებელი აქტივობა (შესაბამისი სილაბუსის გაცნობამ გამოავლინა, რომ პროგრამაში ეს საკითხი გათვალისწინებულია მხოლოდ 1-2 პრაქტიკულ მეცადინეობაზე არჩევითი საგნის ,,თარგმანის თეორია და პრაქტიკა: 2" ფარგლებში, თუმცა საგანი არჩევითია და თან აღნიშნული აქტივობაც სქემატურ ხასიათს ატარებს) .გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით ინგლისური ენის მაღალი კომპეტენცია საკმაოდ ბევრ სამსახურის მაძიებელს უდასტურდება, უშუალოდ ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებისათვის დასაქმების ბაზარზე კონკურენციაც და გამოწვევებიც მზარდია; აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საჭიროა სტუდენტთა დასაქმების სფეროების გათვალისწინებით შესაბამის დარგში თუნდაც ბაზისურ-მინიმალურ დონეზე მათი გათვიცნობიერება, მითუფრო მაშინ, როდესაც დამსაქმებლის მიერ მოთხოვნად კომპეტენციებში (სულ 6) ბიზნესთან ასოცირებული კომპეტენცია ,,იმპორტ/ექსპორტთან დაკავშირებული დოკუმენტების თარგმნა და დამუშავებაც' სახელდება; **შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ბიზნესი არ სახელდება დასაქმების სფეროდ, რაც ასევე ხაზგასმულია უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში, შრომის ბაზრისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზიდან იკვეთება პროგრამის ფარგლებში ბიზნესთან ასოცირებული ტერმინოლოგიურ-სტრუქტურული თავისებურებების გააზრებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება-გაძლიერების აუცილებლობა.**

პროგრამაში დასაქმების სფეროებად ასევე მოიაზრება ტურიზმისა და სახელმწიფო/კერძო რადიო და სატელევიზიო არხები და მედია ცენტრები. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის კურსდამთავრებული აღნიშნულ სფეროებში შეიძლება დასაქმდეს ინგლისური ენის ფილოლოგის კომპეტენციების შესაბამის პოზიციაზე, პროგრამა, მასში შემავალი კურსების - „თარგმანის უნარ-ჩვევები I, II" და „მას-მედიის ენა" ფარგლებში ითვალისწინებს მათი მთარგმნელობითი უნარების განვითარებასა და მას-მედიის ენის მახასიათებლების გაცნობასაც. პროგრამაში გათვლილი ეს კომპონენტი მეტად ღირებულია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ **მიზანშეწონილია, ტურიზმის და მას-მედიის მიმართულებითაც ხორციელდებოდეს სტუდენტების გაძლიერება**, საუკეთესო შემთხვევაში, პრაქტიკული კომპონენტის გავლა რომელიმე ორგანიზაციაში, ან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტშივე მოქმედი შესაბამისი ერთეულის (საზაფხულო სკოლის და სხვ.) აქტივობის ფარგლებში, რაც შესაბამისი დოკუმენტით/ხელშეკრულებით დადასტურდებოდა, ან პროგრამაში მითითებული იქნებოდა აღნიშნული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. აღნიშნულ ასპექტს მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძლება მიენიჭოს სტუდენტის მხრიდან მასწავლებლის მომზადების პროგრამის არარჩევის შემთხვევაში.

სწავლის შედეგები გაზომვადია და ფასდება უნივერსიტეტში დადგენილი შედეგების შესაფსების მექანიზმის შესაბამისად როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზებით (ვრცლად იხ. 1.3. ში). პროგრამას თან ერთვის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს სასწავლო კურსების შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობასა და მათი 3 ზრდადი რუბრიკით შეფასების მექანიზმს; 1 გაცნობა; 2 გაღრმავება; 3 განმტკიცება.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში პროგრამაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის შედეგების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი, რომლებიც ოპერირებენ გუნდური მუშაობის პრინციპით და მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს. აქ განსაკუთრებით

აღსანიშნავია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გათვიცნობიერებულობა სწავლის შედეგებისა და სხვა კომპონენტების დაგეგმვა- შემუშავების პროცესში,

დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზით ასევე დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი პროგრამულად უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას უნივერსიტეტს შიგნით ელექტრონული სისტემების, მათ შორის SMART საშუალებით , ხოლო უნივერსიტეტს გარეთ- ელექტრონული ფოსტის საშუალებით,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ·ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები
- ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- პროგრამის შედეგების რუკა;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი: (კურსდამთავრებულები);

რეკომენდაციები:

- საჭიროა, შრომის ბაზრის მზარდი კონკურენტული გარემოსთვის სტუდენტთა მაქსიმალურად მომზადების მიზნითა და მათი დასაქმების რეალური პერსპექტივების გათვალისწინებით, ბიზნესისა და პროგრამაში დასახელებულ დასაქმების სფეროებთან - ტურიზმი და მას-მედია ასოცირებული აქტივობების გამრავალფეროვნება, კონკრეტულად,
    - ✓ ბიზნესის, ტურიზმისა და მას-მედიის მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის გავლა, ან პროგრამაში აღნიშნული პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის მითითება. ბიზნესსა და ტურიზმთან მიმართებით, ასევე განიხილება ,,ინგლისური ენის, როგორ უცხო ენის სწავლების (TEFL)“ სპეციალური მიმართულებიდან “ინგლისური სპეციალური მიზნებისთვის (ESP) “ შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის- ბიზნეს ინგლისურის, ინგლისური ტურიზმისთვის ან კომბინირებული ვერსიის ,,ინგლისური ბიზნესისა და ტურიზმისთვის” (English for Business and Tourism) დამატების შესაძლებლობაც).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	■	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ფასდება გამჭვირვალედ და თანმიმდევრულად ყოველწლიურად პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის და, სადაც დეტალურადაა განმარტებული შეფასების მეთოდები და პროცედურები. ამ დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის პროგრამით გათვალისწინებული 10 შედეგის შეფასება განხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას შემდეგი ფორმებით: ღია და დახურული შეკითხვები, მათ შორის, ესე, პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალებები, სემინარი, პროექტი და საბაკალავრო ნაშრომი.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული შეფასების ფორმები ადეკვატურია, რამდენდაც რეალურად აფასებს პროგრამითა და შესაბამისი საგნით გათვალისწინებული შედეგების უზრუნველყოფას. მაგ., პრეზენტაცია აფასებს მე-8 შედეგს ,,...ზეპირი ფორმით აყალიბებს და დარგის სპეციალისტებთან და/ან არასპეციალისტებთან წარადგენს ნაშრომის ძირითად მიგნებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს შესაბამისი ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით" და სხვ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვებისთვის აღებულია პერსონალის მიერ განსაზღვრული მომდევნო სასწავლო კურსის შედეგების შეფასება, რადგანაც ისინი, პროგრამის პერსონალის მიხედვით, საკვანძოა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების დადასტურებისთვის: ინგლისური ენის კომპეტენცია II (FCE II); დიდი ბრიტანეთის ისტორია, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ბრიტანეთის კულტურა და პოპ-კულტურა, მეორე ენის ათვისების თეორიები, ინგლისური

ენის გრამატიკის თეორია, ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევისა და შესწავლის უნარები და საბაკალავრო ნაშრომი ინგლისურ ფილოლოგიაში. როგორც პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმიდან ვკითხულობთ, მოცემული 9 საგანი შეირჩა პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად იმიტომ, რომ პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, ისინი კლასიფიცირდება, როგორც განმამტკიცებელი, კერძოდ, შეფასების ზრდადი 3 დონიანი (გაცნობა-განმტკიცება- გაღრმავება) რუბრიკის მე-3 დონის საგნებად პროგრამის სტრუქტურული აგებულების თავისებურების გათვალისწინებით, რაც ვრცლად განხილულია 1.4.კომპონენტში.

აღნიშნულ საგნებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს სწავლის მე-5 შედეგი ,,იყენებს ლინგვო-კულტურულ კომპეტენციას, რომელიც საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით (CEFR) შეესაბამება B2-C1 დონეს…" შესაფასებლად აღებულია ინგლისური ენის კომპეტენცია II (FCE II), რომელიც ხორციელდება პირველი აკადემიური წლის ბოლოს, ბაკალავრიატის მე-2 სემესტრში. როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუზე გაირკვა, პროგრამის პერსონალის ხედვით, სწავლების პირველ წელს უნდა მოხდეს სტუდენტებისათვის B2 დონის გამომუშავება, რათა მათ გააგრძელონ სწავლა სრულად ინგლისურ ენაზე და მომდევნო 3 აკადემიური წლის განმავლობაში დახვეწონ ენის კომპეტენცია კვლავ ,,B2 "ან სავარაუდო ,,C1" დონემდე. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის ვარაუდი/გათვლა გარკვეულწილად ლოგიკურია იმდენად, რამდენადაც პროგრამა სრულად ინგლისურ ენაზე ხორციელდება, მაინც ისმის კითხვა, როგორ ხდება თუნდაც სავარაუდო C1 დონის შემოწმება/ დადასტურება მაშინ როცა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დროს არ არის გათვალისწინებული C1 კომპეტენციის დამადასტურებელი შეფასების ფორმები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ **ამ კონკრეტული შედეგის პირდაპირი შეფასებისას ვლინდება გარკვეული ხარვეზი, რაც პროგრამის ამ კონკრეტული შედეგის დადასტურებას ეჭვქვეშ აყენებს.**

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდება წინასწარ განსაზღვრული შეფასების სისტემით- სამ დონიანი ინდიკატორების საშუალებით: ვერ აკმაყოფილებს (0-50 ქულა), მეტწილად აკმაყოფილებს (51-80 ქულა) და აკმაყოფილებს (81-100 ქულა).შეფასება მოხდება ორ ეტაპად. 1 ეტაპი გულისხმობს სტუდენტების რანჟირებას მიღებული ქულების მიხედვით გაუსის ნორმალური განაწილების პრინციპის გათვალისწინებით დადგენილი სამიზნე ნიშნულების შესაბამისად; კერძოდ, : 1. სტუდენტების 10% იღებს A შეფასებას; 2. სტუდენტების 25% - B შეფასებას; 3. სტუდენტების 30% - C შეფასებას; 4. სტუდენტების 25% - D შეფასებას; 5. სტუდენტების 10% - E შეფასებას. ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი. იგი აგრეთვე გადაიხედება იმ შემთხვევაშიც თუ სტუდენტთა 35%-ზე მეტი მიიღებს (F) ჩაიჭრა/არადამაკმაყოფილებელ შეფასებას (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, გვ. 5).

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამით მისაღწევი სწავლის შედეგების, შეფასების დონეებისა და შეფასების ინდიკატორების დეტალურად გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეფასების პირდაპირი მეთოდი ადეკვატურია და ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკაზე მორგებული.

რაც შეეხება არაპირდაპირ შეფასებას, ეს მეთოდი გულისხმობს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სტუდენტების გამოკითხვას, კურიკულუმის ანალიზსა და ე.წ. ბენჩმარკინგს. საჭირო კითხვარების შეგროვება და ანალიზი, ასევე შესაძლო პრობლემურ საკითხებზე რეაგირება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელდება. უშუალოდ

სწავლის შედეგების მიღწევის, შინაარსობრივი მხარისა და შეფასების მექანიზმების ეფექტურობის შეფასებაში როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალიც მიიღებს მონაწილეობას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ერთად. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუზე დადასტურდა, რომ პროგრამის პერსონალი, გარე დაინტერესებულ მხარეებსა და სტუდენტ-კურსდამთავრებულებთან ერთად ზედმიწევნით კარგად იცნობს შედეგების შეფასების მექანიზმს და აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესში. გარდა ამისა, შედეგების არაპირდაპირი მეთოდით, ამ შემთხვევაში სტუდენტთა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგების შეფასების გათვალისწინებით (მაგ., სტუდენტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე პროგრამიდან ამოღებულ იქნა კურსი „ბრიტანული კულტურა და მულტიკულტურული საკითხები", რომელიც ჩანაცვლდა საგნით „ბრიტანეთის კულტურა და პოპ-კულტურა") განხორციელებული მთელი რიგი ცვლილებები ადასტურებს იმას, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი რეალურად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად და/ან გასაახლებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები; სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები
- კურიკულუმის რუკა;
- სამიზნე ნიშნულები;
- სწავლის შედეგების დაკვირვების გრაფიკი;
- ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია, პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების გადახედვა ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი შედეგის შეფასების კუთხით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	■	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის ECTS-ს შესაბამისად კერძოდ, 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 240 კრედიტი, რომელიც ნაწილდება სავალდებულო სასწავლო კურსებზე- 130 კრედიტი; უცხო ენებიდან ერთ-ერთი - 20 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (შეთავაზებული 108 კრედიტიდან); თავისუფალი კომპონენტი - 65 კრედიტი: თავისუფალი კრედიტების ფარგლებში სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის ნებისმიერ სასწავლო კურსს წინაპირობების დაცვით და/ან დამატებით 60 კრედიტიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასა და უნივერსიტეტის შესაბამისი დონის ნემისმიერ 5 კრედიტიან საგანს. 240 კრედიტიანი პროგრამა 4 აკადემიური წლისა და 8 სემესტრის განმავლობაში ხორციელდება, თითო სემესტრში 30 კრედიტის გაანგარიშებით. სწავლის ბოლო, მე-8 სემესტრში ხდება საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და დაცვა. აკადემიური წელი მოიცავს 16 სალექციო კვირას, ხოლო მე-17-19 კვირა ეთმობა დასკვნით გამოცდებს.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის, შესაბამისი სილაბუსებისა და სხვა თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგების შეჯერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მისი მოცულობის და კომპლექსურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის- ბაკალავრიატისადმი წაყენებულ მოთხოვნებს იმდენად რამდენადაც მისი შემადგენელი კურსები პირდაპირ ეხმიანება შესაბამისი, მე-6 დონის ცოდნა/გაცნობიერების, უნარისა და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის აღმწერებს, მაგალითისთვის , თეორიული ხასიათის კურსებში (მაგ., ,,,,დიდი ბრიტანეთის ისტორია“, ,,ლიტერატურული ტერმინები და მიმდინარეობები:” ,,მეორე ენის ათვისების თეორიები“ და სხვ.) მათი შინაარსისა და სწავლების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით იკვეთება კონკრეტული თეორიების და

პრინციპების კრიტიკულად გააზრება; პრაქტიკული უნარის განმავითარებელ კურსებში (მაგ., ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები“, ,, აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევები 1 და 2“ და სხვ.) იკვეთება ,, იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით“ (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, დანართი #1).; კვლევითი კომპონენტის განმავითარებელი კურსები (მაგ., ,,ესეს წერა“, ,,აკადემიური წერა“ , ,,ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევისა და შესწავლის უნარები“ და სხვ.) კი თავის მხრივ, იკვეთება ,, სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული [...] მეთოდის გამოყენებით; სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება...“ (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, დანართი #1).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსი, რომელიც ვლინდება სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობისას შეესაბამება ინგლისური ფილოლოგის ბაკალავრის კომპეტენციას და მორგებულია პროგრამით გათვალისწინებული 10 შედეგის მიღწევაზე. ასე მაგალითად, სასწავლო კურსების ,, ინგლისური ენის ფონეტიკა“ შედეგები ,,ცნობს, განსაზღვრავს და ახდენს ინგლისური ბგერების კლასიფიცირებას; აღწერს ინგლისური ენის წარმოთქმის თავისებურებებს; აღწერს და განასხვავებს ინტონაციის ტიპებს“ ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული მე-2 შედეგის მიღწევაზე- ,,იცნობს და განასხვავებს ინგლისური ენის ფონოლოგიურ და ფონეტიკურ [...]ერთეულებს და მახასიათებლებს“. და მსგავსი მაგალითების მოძიება ადვილია როგორც პროგრამის, ასევე სწავლის შედეგების რუკის ანალიზისას.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის, სილაბუსებისა და თანდართული წინაპირობების ცხრილის ანალიზმა, ასევე ცხადყო, რომ პროგრამის სტრუქტურის აგებისას, ესქპერტთა აზრით, კვლევითი კომპონენტის ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა და ყოველი შემდგომი კომპონენტისთვის განსაზვრულია ადეკვატური და შინაარსობრივად მიზანშეწონილი დაშვების წინაპირობები. მაგალითისთვის, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი დაგეგმილია შემდეგნაირად: პირველი სემესტრი - ესეს წერა, რომელიც წინაპირობაა მეორე სემესტრში შეთავაზებული ,,აკადემიური წერისთვის“, და ორივე ამზადებს მე-7 სემესტრში მიწოდებული კურსისათვის ,, ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევისა და შესწავლის უნარები“ და მათი ერთობლიობა კი უზრუნველყოფს საბაკალავრო ნაშრომისათვის სტუდენტთა მომზადებას. პროგრამის სასწავლო კომპონენტის დაგეგმვისასაც კურსებზე დაშვების წინაპირობების ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპი დაცულია კურსების შინაარსობროვი მახასიათებლების გათვალისწინებით (მაგალითად,კურსისათვის ,,XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურა” წინაპირობაა ,,ინგლისური ლიტერატურის შესავალი”, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს ,,ლიტერატურული ტერმინები და მიმდინარეობები”-ს სასწავლო კურსის გავლას; ,,შესავალი ლინგვისტიკაში'' წინაპირობაა კურსისა ,,გამოყენებითი ლინგვისტიკის შესავალი), რაშიც იმავდროულად იკვეთება მასალის ზოგადიდან კონკრეტულამდე ორგანიზების თავისებურება.

აღსანიშნავია, პროგრამაში სასწავლო კურსების შემდეგი ორგანიზების თავისებურებაც: ის სასწავლო კურსები, რომლებიც პროგრამის პირველი ეტაპისთვის არის გათვალისწინებული პრაქტიკული ხასიათისაა (მაგალითად კურსი “აუდირება და წარმოთქმა”), ხოლო მომდევნო ეტაპზე გათვალისწინებულია თეორიული სახის კურსები (მაგალითად კურსი “ინგლისური ენის გრამატიკის თეორია”). პროგრამის სწავლის შეფასების დოკუმენტის გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ განმტკიცების გრაფაში მოცემულია კურსები “ინგლისური ენის გრამატიკის

თეორია” და “მეორე ენის ათვისების თეორიები”, რომლებიც თეორიულ ხასიათს ატარებენ და ერთი შეხედვით, მეტად თავსებადი შეიძლება იყოს გაცნობის, ან გაღრმავების გრაფებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირებისასაც გამახვილდა ყურადღება ექსპერტთა მხრიდან. მოცემულ საკითხზე პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა სწორედ იმ პრინციპით იქნა აგებული, რომ სტუდენტი პრაქტიკული საგნების გავლით მოემზადოს თეორიული კურსების ათვისებისთვის კონკრეტული პრაქტიკული და თეორიული კურსების სპეციფიკურობის, ასევე მათი ენობრივი და შინაარსობრივი სირთულის ზრდადობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა გამოირჩევა ინდივიდუალობით მსგავსი პროგრამებისგან განსაკუთრებით მის განხორციელებაში ჩართული კვალიფიციური აკადემიური ადამიანური რესურსისა და რეაკრედიტაციის პროცესში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების პროგრამის ხარჯზე, რაც თავად პროგრამის პერსონალისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია.

ამას გარდა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა წარმატებით ეხმიანება დარგის თანამედროვე მიღწევებს იმდენად, რამდენადაც მორგებულია თანამედროვე ფილოლოგის ხედვის გაფართოებაზე მასში წარმოდგენილი კომპლექსური და ინტერდისციპლინარული შინაარსის/კონტენტის საშუალებით. კერძოდ, პროგრამის შემადგენელი კურსები ასახავენ ლინგვისტიკის, თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურისა და ნარატოლოგიის, ასევე დარგისათვის მნიშვნელოვანი ანტიკური ცივილიზაციის, ისტორიის, ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის საკითხებსა და მიდგომებს (მაგ., სასწავლო კურსები ,, კულტურული ანთროპოლოგია”, ..ანტიკური ლიტერატურის ისტორია” , ,,შესავალი ნარატოლოგიაში” , ,, ქართული ცივილიზაციის ისტორია”, ,,ლინგვო-კულტურული საკითხები ენაში” და სხვ.). გარდა ამისა, ფილოლოგიის დარგისთვის საკვანძო საგნების თანამედროვე კონტექსტში გააზრებას ხელს უწყობს შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა (მაგ., 2020 წლის გამოცემები, რომლებიც აკადემიური წერის კურსებში გამოიყენება: Folse, K. S., Muchmore-Vokoun, A., & Vestri, E. (2020), 2018 წლის გამოცემა, რომელიც სტილისტიკის კურსში გამოიყენება: Gibbons A. & Whiteley, S. (2018); ლექსიკოლოგიის კურსში გამოყენებული უახლესი სახელმძღვანელო: Bauer, L. (2022), Introduction to English Lexicology, Edinburgh University Press.და სხვ.).

ექსპერტთა აზრით, პროგრამის ასათვისებლად გამოყენებული სწავლების მეთოდებიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლა, შებრუნებული გაკვეთილი, ელექტრონული საშუალებებით სწავლა და სხვ. (ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების პროგრამა. გვ. 13-15). აქვე აღსანიშნავია შეფასების ისეთი მეთოდების ინტეგრირება პროგრამის სხვადასხვა კურსში, რომლებიც სასწავლო მიზნითაც გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში. (მაგ.,პორტფოლიო, თვით-შეფასება და ურთიერთშეფასება, საჩვენებელი გაკვეთილი).

აქვე, პროგრამის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში შეთავაზებული სასწავლო საგნები მრავალფეროვანია და მაქსიმალურად მორგებულია სტუდენტების ინტერესებზე. (მაგალითისთვის, სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით არჩევითი საგნებისათვის გამოყოფილი კრედიტები გაიზარდა 15 -დან 25-დე).

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლების ენა სრულად ინგლისურია, რაც ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკის გათვალისინებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინტერნაციონალიზაციის კუთხით. ამ უკანასკნელის საკითხების განხილვისას ასევე აღსანიშნავია პროგრამის შემადგენელი კონკრეტული

კურსები, ისეთი როგორებიცაა, მაგ., ,,ბრიტანეთის კულტურა და პოპ-კულტურა“, ,,ბრიტანეთის საზოგადოება“ , ,,ინგლისური ლიტერატურის შესავალი“ ., მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა“ და სხვ. რომლებიც ასახავენ ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

ინტერვიუს შედეგებისა და დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სრულად არის ინფორმირებული პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პროგრამის განმახორციელებლი გუნდის მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განვითარების მიზნით.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად საჯაროა და ხელმისაწვდომი ნემისმიერი დაინტერესებული პირისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ·ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- მასწავლებლის მომზადების პროგრამა თანდართული სილაბუსებით.
- კურიკულუმის რუკა;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	■	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სააკრედიტაციოდ წარმოდეგენილი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა მოიცავს სულ 50 სასწავლო კურსს (ასევე დამატებული შემოთავაზებული უცხო ენების კურსები). პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მონაცემთა შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო კურსები სწავლების საწყის ეტაპზე კომპეტენციათა გრაფას ფარავს გაცნობა და გაღრმავების, ხოლო მომდევნო ეტაპზე, განმტკიცების რუბრიკის ფარგლებში. პროგრამაში დეკლარირებული 10 შედეგიდან მინიმუმ ერთს მაინც უკავშირდება კურსების ფარგლებში მოცემული შედეგები (მაგალითად კურსის - "ენათმეცნიერების შესავალი" ერთ-ერთი შედეგი - გამოკვეთს/აღწერს ინგლისური ენის სტრუქტურულ და ფუნქციურ ასპექტებს - მორფოლოგიური ანალიზი, სინტაქსური ანალიზი და ა.შ; აღწერს სიტყვათწარმოების ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს ინგლისურ ენაში უკავშირდება პროგრამის მე-2 შედეგს - იცნობს და განასხვავებს ინგლისური ენის ფონოლოგიურ და ფონეტიკურ და ლექსიკურ-სტილისტურ ერთეულებს და მახასიათებლებს; აღწერს და განასხვავებს ინგლისურ ენაში სიტყვათწარმოების პრინციპებსა და მეთოდებს). ექსპერტთა მიერ სილაბუსების გაცნობის შემდეგ ასევე გამოიკვეთა, რომ პროგრამით გათვალისწინებული კურსების შინაარსი ლოგიკურად უკავშირდება ამავე კურსში მოცემულ შედეგებს (მაგალითად კურსი "ლექსიკოლოგია" სასწავლო კვირების განმავლობაში ფარავს თემებს, რომლებიც უკავშირდება ინგლისური ენის განვითარების ეტაპებსა და თანამედროვე ინგლისური სიტყვების თავისებურებებს, რაც შედეგებში შემდეგნაირად ფორმულირდა - განსაზღვრავს ინგლისური ენის ისტორიული განვითარების ეტაპებს და სხვ.).

პროგრამის ფარგლებში მოცემული კურსების სილაბუსთა გაცნობით ასევე გამოიკვეთა, რომ კურსების უდიდესი ნაწილისთვის, (გარდა ქვემოთ განხილული კონკრეტული კურსებისა) რომლებზეც დათმობილი კრედიტების რაოდენობა ლოგიკურად არის გადანაწილებული და ითვალისწინებს საგნის შინაარსსა და დასახულ შედეგებს (მაგალითად კურსი -"ესეს წერა"მოიცავს 5 კრედიტს, 125 საათს, აქედან 62 საკონტაქტო საათია, ხოლო 63 დამოუკიდებელი მუშაობისთვის არის განკუთვნილი. კვირაში გათვლილია 4 საკონტაქტო საათი; შუალედური გამოცდა - 2 სთ და დასკვნითი გამოცდა -2 სთ. კურსი პრაქტიკული ხასიათისაა და მისი ათვისებისთვის, ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო საათობრივი გადანაწილება ლოგიკური თანაფარდობითაა მოცემული), ასევე საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა კურსის შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე ლოგიკური თანაფარდობით არის მოცემული (მაგალითად კურსი - "ინგლისური ლიტერატურის შესავალი" - 5 ECTS კრედიტი - 125 საათი; 47 საკონტაქტო საათი სემესტრში, 78 საათი დამოუკიდებელი სამუშაო). პროგრამით გათვალისწინებული კურსების შედეგების მიღწევა ხდება შეფასების შესაბამისი სისტემითა და მეთოდებით (მაგალითად

საგნის “დიდი ბრიტანეთის ისტორია” ერთ-ერთი შედეგის მიხედვით, სტუდენტი კრიტიკულად იაზრებს დიდი ბრიტანეთის ისტორიის მთავარ მოვლენებს, პიროვნებებსა და იდეებს; აღნიშნული შედეგი სემინარის ფორმატში ფასდება მაქსიმუმ 13 ქულით - სტუდენტებს ევალებათ მიცემული ტექსტის წაკითხვა, ინტერპრეტაცია და მასში აღნიშნული ფაქტების კრიტიკული ანალიზი, ასევე სემინარების კითხვებზე პასუხის გაცემა).

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ენების კურსებისთვის დათმობილი კრედიტების რაოდენობამ გარკვეული კითხვები გაუჩინა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, კერძოდ,, პროგრამის მიხედვით, უცხო ენებს ეთმობა 20 კრედიტი (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, გვ.15.). შემოთავაზებულ ენათა ჩამონათვალი მრავალფეროვანია, რაც მეტად ღირებულს ხდის პროგრამას, თუმცა ისინი განსხვავდებიან დონეების გრადაციის მიხედვით და ამავდროულად, ეთმობათ ერთი და იგივე რაოდენობის კრედიტები (მაგალითად კურსს “კორეული ენა A1” ეთმობა 5 კრედიტი და კურსს “ქართული ენა A1.1” ასევე ეთმობა 5 კრედიტი). აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით იკვეთება, რომ ერთ უცხო ენაში სტუდენტი ერთ დონეს ფარავს ორ, ხოლო მეორე ენაში მხოლოდ ერთ სემესტრში. კრედიტთა მოცემული თანაფარდობით გადანაწილება ქმნის შეუსაბამობას პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის შესწავლისთვის დათმობილი 20 კრედიტის ათვისების კუთხით. თუ ერთი საგანი, მაგალითად “ქართული ენა”- დონეების მოცემული გრადაციით - A1.1, A1.2, A2.1, A2.2, B1 და B2 იქნება სტუდენტის მიერ სრულად ასათვისებელი A1.1-დან B2 დონემდე (რისი ალბათობაც განსაკუთრებით მაღალია უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში) კრედიტების მოცემული რაოდენობის გადანაწილების გათვალისწინებით, ის ლოგიკურად მოანდომებს არა ოთხ სემესტრს- 20 კრედიტს, არამედ 6 სემესტრს - 30კრედიტს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული შეკითხვა ინტერვიუირებისას მიემართა კონკრეტულად ქართული ენის კურსს, რომლის ყველა დონის სილაბუსი მოწოდებულ დოკუმენტაციებში სრულად არ იყო მოცემული, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან აღინიშნა, რომ ისინი შემუშავების პროცესშია. უცხო ენის კურსებისთვის დათმობილი კრედიტების რაოდენობისა და მათი გადანაწილების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულ კურსებზე წინაპირობით დაშვების საკითხის შემთხვევაში. კერძოდ, კურსის “ქართული ენის სტილისტიკა”, რომელიც წინაპირობაა კურსისთვის “თარგმანის უნარ-ჩვევები I”, აღნიშნული კურსი კი წინაპირობად სახავს ქართული ენის მინიმუმ B2 დონეზე ფლობას.

პროგრამის კურსების თემატიკა მრავალფეროვანია, რაც შესაბამისად აისახება ლიტერატურაზეც. კურსებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა ფარავს როგორც 1994 წლით გამოცემულ ლიტერატურას, ასევე თანამედროვე გამოცემებს 2020 წ. (მაგალითად საგანი “აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევები”). უნდა აღინიშნოს, რომ საგანიში “ქართული ცივილიზაციის ისტორია”, დამატებითი ლიტერატურის სახით მითითებულია 1962 წლით დათარიღებული ლიტერატურა (D. Marshall Lang, A Modern History of Georgia”. NY, 1962). აღნიშნული ლიტერატურა, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა ვიზიტისას. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა განმარტა, რომ სტუდენტთათვის მოცემული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ელ.რესურსის სახით. აღნიშნული ლიტერატურა, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კურსისთვის და ექსპერტთა მხრიდან მოძიებულ ინტერნეტრესურსებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასევე გამოიკვეთა, რომ წიგნის განახლებული ვერსია არ მოიპოვება ინტერნეტსივრცეში. ამავე კურსში მოყვანილია 1967 წლით დათარიღებული ლიტერატურა, თუმცა ის რიდერის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული წლებით დათარიღებული ლიტერატურა არ ქმნის შეუსაბამო სურათს კურსის შინაარსის (ისტორიის მიმოხილვითი, გაცნობითი ხასიათი) გათვალისწინებით. აქვე

შევნიშნავთ, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირებისას მათი მხრიდან აღინიშნა, რომ სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა უკვე განახლებულია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მათზე გარკვეული ტექნიკურ-რეგულაციური მიზეზების გამო წვდომა არ ჰქონდა. აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ პროგრამით განსაზღვრული ლიტერატურა შეესაბამება სწავლის სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამა;
- მასწავლებლის მომზადების პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის შედეგების რუკა;

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, მოხდეს უცხო ენების კურსების კრედიტთა შესაბამისი გადანაწილება პროგრამით გათვალისწინებულ რაოდენობასთან (20 კრედიტი) მიმართებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	■	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■

	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი განათლება და ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს. მოცემულ პროგრამაზე დაშვებისთვის აბიტურიენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აუცილებლად უნდა ჩააბაროს უცხო ენებიდან მხოლოდ ინგლისური ენა და მიიღოს 60%+1, ხოლო საერთაშორისო სტუდენტებისთვის პროგრამაზე ჩარიცხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე (გვ.3 ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა).

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა სრულად ინგლისურენოვანია, იგი გათვლილია საერთაშორისო სტუდენტებისთვისაც, რომელთა მხრიდანაც საერთაშორისო გამოცდების (FCE, TOEFL, IELTS და სხვ.) ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატების წარმოდგენის შემთხვევაში ხდება მათი პროგრამაზე დაშვება ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი შიდა ტესტის გავლის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სტუდენტი არ ფლობს ასეთ სერტიფიკატს, მან უნდა დაადასტუროს ზოგადი ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნის კომპეტენცია საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით (გვ.3 ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა). პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუირებისას ექსპერტთა მხრიდან დაისვა შეკითხვა, თუ რატომ არ არის კონკრეტულად მითითებული მინიმალური ქულობრივი მაჩვენებელი აღნიშნული საერთაშორისო გამოცდების სერტიფიკატების გავალისწინებისას, რაზეც მან აღნიშნა, რომ

საერთაშორისო სერტიფიკატების წარმოდგენისას, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიაჩნია, რომ სტუდენტს მინიმალური ზღვარი უკვე გადალახული აქვს და არ არის აუცილებელი ზღვრულ/მინიმალურ ქულათა მითითება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის მხრიდან მინიმუმ B1 დონის, ასევე TOEFL, IELTS, FCE და სხვ. საერთაშორისო გამოცდების შედეგებს, რომელიც ამავე დონეს უნდა ფარავდეს, დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან და ითვალისწინებს მის სპეციფიკას - პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტმა ენის უკვე დადასტურებული კომპეტენციით შეძლოს პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების დახმარებით ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლება, მიწოდებული მასალის გაგება და ათვისება.

აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის გათვალისწინებით, პროგრამის სტუდენტთა საერთო რაოდენობა განსაზღვრულია 160-ით, რაც ქმნის ლოგიკურ თანაფარდობას დაწესებულების საერთო რესურსებთან, ისევე როგორც პროგრამაში ჩართულ ადამიანურ რესურსთან (სულ 41), ეს კი სტუდენტთა რაოდენობის დაახლოებით ¼-ს წარმოადგენს. აღნიშნული მონაცემები ქმნის შესაძლებლობას, უზრუნველყოფილი იქნას საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელება.

სტუდენტთა პროგრამაზე მიღება ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციით არის გათვალისწინებული. აღნიშნული საუნივერსიტეტო დოკუმენტის მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულებად წარმოდგენილია: ადამიანური რესურსი (აფილირებული აკადემიური, მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა), მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (სასწავლო ფართი, სახვადასხვა აქტივობისთვის საჭირო სივრცე და სხვ.) (გვ.10. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია).

პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე - https://iro.ibsu.edu.ge/en/home.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- დანართი 1. ინდივიდუალური რაოდენობრივი მაჩვენებლები თვითშეფასების ანგარიშისათვის;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის მიღების წინაპირობაში მოცემული იყოს კონკრეტული რიცხობრივი მაჩვენებლები საერთაშორისო სტუდენტების მხრიდან საერთაშორისო სერტიფიკატების წარმოდგენის შემთხვევაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	■	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მასში შემავალი კურსების ვარიაციულობის გათვალისწინებით ატარებს როგორც პრაქტიკულ (ინგლისური ენის გრამატიკა, ინგლისური ენის მასწავლებლის პროგრამა), ასევე თეორიულ (მეორე ენის ათვისების თეორიები, ინგლისური ენის გრამატიკის თეორია) ხასიათს. პროგრამაზე ჩარიცხვისას სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა მესამე სემესტრიდან აირჩიოს პროგრამაში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა და შესაბამისად განივითაროს პრაქტიკული სწავლებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირებისას მათი მხრიდან აღინიშნა, რომ მასწავლებლის პროგრამის დაწყების დროდ კონკრეტულად მესამე სემესტრი შეირჩა იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ მანამდე არსებული კურსების შედეგები ქმნიან შესაძლებლობას, სტუდენტი იყოს მზად მასწავლებლის პროგრამის ეფექტურად გავლისთვის. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ აირჩევს კონკრეტულ მიმართულებას, მას აქვს შესაძლებლობა თავისი სწავლა დაგეგმოს უფრო ფართო ხასიათით და განივითაროს ენის შესწავლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და სწავლის საფეხურის შესაბამისი კვლევითი (ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევისა და შესწავლის უნარები), თუ აკადემიური (აკადემიური წერა, აკადემიური პრეზენტაციის უნარ-ჩვევები) უნარ-ჩვევები, ასევე გაეცნოს ინგლისური ენის კულტურულ (ბრიტანეთის

საზოგადოება, თარგმანის უნარ-ჩვევები), ლიტერატურულ (XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურა) თუ ისტორიულ (მსოფლიო ისტორიის შესავალი) ასპექტებს.

წარმოდგენილ პროგრამაზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო აქტივობებში (მაგალითად, 8 th Annual Conference organized by Faculty of Social Sciences, Humanities and Education of the International Black Sea University; IRCELT). სტუდენტთა ჩართულობა სტუდენტურ სამეცნიერო აქტივობებში ხორციელდება პროგრამის განმახორხიელებელი პერსონალისა და ფაკულტეტის მხარდაჭერით. კონფერენციების თემატური ხასიათი შესაბამისი თანაფარდობით ეხმიანება პროგრამის სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს ენის კლუბი - Lingo Quest, რომელშიც პროგრამის აქტიური სტუდენტები და კურსდამთავრებულები არიან ჩართულნი.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი, რომელიც კურსების სახითაც არის მოცემული პროგრამაში ("ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კვლევისა და შესწავლის უნარები"; მასწავლებლის მომზადების პროგრამით გათვალისწინებული კურსი - "კვლევის მეთოდები და ტენდენციები განათლებაში"), დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც სტუდენტი არჩევს და აგროვებს დარგის შესაბამის მასალებს ინგლისურ ფილოლოგიაში მცირე მასშტაბის კვლევის ჩასატარებლად, კრიტიკულად აფასებს და აანალიზებს მოპოვებულ მონაცემებს და წერს მიმართულების შესაბამის ნაშრომს სათანადო მითითებების გათვალისწინებით, რომლის დროსაც იყენებს აკადემიური კითხვის და წერის სტრატეგიებს და პრინციპებს (გვ. 5 ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა); კვლევითი კომპონენტის პრაქტიკული განხორციელება სტუდენტის მხრიდან ხდება საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას, რომელიც საბაზისო დონეზე კვლევითი უნარების განვითარების მიზნით პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად არის შეტანილი და ეთმობა 10 კრედიტი. პროგრამის მიხედვით, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელად გათვალისწინებულია პროგრამაში ჩართული ნებისმიერი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი, ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული ლექტორი. პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილი მოიცავს სტუდენტთა დასწრებასა (პასიური) და მასწავლებლის ასისტირების (აქტიური) კომპონენტებს. პროგრამაში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების პროგრამის მიხედვით, პრაქტიკულ კომპონენენტს ხელმძღვანელობს კვალიფიციური პერსონალი, რომელსაც გააჩნია მოცემული კომპონენტის წარმართვისთვის ყველა საჭირო კომპეტენცია. პრაქტიკის მსვლელობისას სტუდენტი ფასდება 70 (შუალედური) და 30 (დასკვნითი) ქულიანი თანაფარდობით. მოცემული შეფასება ფარავს როგორც ლექტორის, ასევე მენტორ-მასწავლებლისა და სტუდენტის თვითრეფლექსიის მონაცემებსაც. პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად უნივერსიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება რამდენიმე სკოლასთან (თბილისის 168-ე საჯაროს კოლა, კერძო სკოლა - ახალი თაობა), უნივერსიტეტთან (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ორგანიზაციასთან (English Book in Georgia, LLC). ექსპერტთათვის მოწოდებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა (სულ 57) შესაბამისია პროგრამით გათვალისწინებულ სტუდენტთა რაოდენობის (სულ 160), მათი პრაქტიკაში/სტაჟირების ფორმატში ჩართვისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი;
- სასკოლო პრაქტიკის სილაბუსი;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	■	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუთა შედეგების გათვალისწინებით, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება სწავლების საფეხურს, დარგობრივ მახასიათებლებს და ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას. სწავლების მეთოდთა და აქტივობათა ჩამონათვალი პასუხობს პროგრამაში შემავალი კურსებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას (დემონსტრირება, ელრესურსების გამოყენება, პრეზენტაციის/ტუტორიალის/პოსტერის მომზადება - შედეგი - ირჩევს და გეგმავს შინაარსს, აწყობს პრეზენტაციას ეფექტური და საჭირო ვიზუალით. კურსი - "აკადემიური პრეზენტაციის უნარ-ჩვევები"). პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას (შებრუნებული გაკვეთილი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდუქცია, შემთხვევების შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა). აღნიშნული მეთოდები/აქტივობები შესაბამისი ხასიათისა და თავისებურებათა გათვალისწინებით ფარავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ძირითად მახასიათებლებს, რაც პროგრამას დამატებით ღირებულებას სძენს. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუირებისას ექსპერტთა მხრიდან დაისვა შეკითხვა კურსის სილაბუსებში დამოუკიდებელი მუშაობის კომპონენტში მოცემული მეთოდის - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (კურსი - "მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა") შესახებ. კითხვა ეხებოდა აღნიშნული მეთოდის ეფექტურ გამოყენებას სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფარგლებში, რაზეც პროგრამის განმახორციელებლებმა უპასუხეს, რომ ამ გზით სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და მოიძიონ მისი გადაჭრის გზები, რაც თავისმხრივ, მათში განავითარებს კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნებისა და ავტონომიურობის უნარებს. ექსპერტთა მხრიდან ასევე დაისვა შეკითხვა სასწავლო კურსის - "აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევები II" შედეგების, ლიტერატურისა და სწავლების მეთოდების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. კერძოდ, კურსის ერთ-ერთი შედეგის მიხედვით კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი განსაზღრავს და აჯგუფებს სიტყვის წარმოების წესებს, თუმცა კურსით გათვალისწინებული ლიტერატურა პრაქტიკული სახისაა და არ მოიცავს თეორიულ მასალას (წესებს) კურსით გათვალისწინებული შედეგის მიღწევისთვის საჭირო ოდენობით. სწავლების მეთოდებში კი არ არის მოცემული ახსნა-განმარტების კომპონენტი, რაც მეტად ნათელს გახდიდა შედეგებისა და სწავლების მეთოდთა ურთიერთმიმართებას. პროგრამის განმახორციელებელთა მხრიდან მოხდა საკითხის არგუმენტირება. მათ აღნიშნეს, რომ კურსის განმახორციელებლები თეორიული მასალის ახსნისთვის იყენებდნენ პრაქტიკული სახელმძღვანელოს მასწავლებლის რესურსს და მოცემული საკითხების გადაცემა სტუდენტებისთვის ხდება პრეზენტაციებითა და დემონსტრირების აქტივობების დახმარებით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები არის მოქნილი და ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ აქტივობათა საჭიროებების მორგებაზე ორიენტირებული (ჯგუფში, წყვილში, ინდივიდუალურად მუშაობა)აკრედიტაციისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა სრულად ინგლისურენოვანია, ის თავისი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი კომპონენტებით ითვალისწინებს საერთაშორისო სტუდენტების კულტურულ საჭიროებებსაც.

დამსაქმებლებთან ინტერვიუირებისას ხაზგასმით დადებითად იქნა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა მხრიდან ინგლისური ენის მაღალი კომპეტენციის, სასწავლო

ელრესურსების ფლობისა და მათი ეფექტური გამოყენების შესახებ. აღნიშნული შეფასებები, ძირითადად, უკავშირდება კურსდამთავრებულთა, როგორც ენის მასწავლებელთა კომპეტენციებს, რაც მოცემული პროგრამის ფარგლებში ინტეგრირებული მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის კურსების დახმარებით (კლასის მართვა, შეფასების მეთოდები და პრინციპები, სასწავლო პროცესის დაგეგმვა (TKT) და სხვ.) კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით ვლინდება მოცემულ პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში ონლაინ და პირისპირ სწავლების ფორმით წარმართვის შემთხვევაში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული პროგრამა - https://smart.ibsu.edu.ge/, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ლიტერატურის, დავალებებისა და შეფასებების ელფორმატში ასახვისთვის. ელექტრონული პროგრამის გამოყენება სწავლების ონლაინ თუ პირირსპირ ფორმით წარმართვისას არ გამოიწვევს პროგრამაში დეკლარირებული შედეგების ცვლილებას, შესაბამისად, დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის გამართულ ფუნქციონირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კურსში - „აკადემიური კითხვის უნარ-ჩვევები“ უფრო მეტად გამოიკვეთოს მეთოდის, შედეგისა და მოცემული/პრაქტიკულად გამოყენებული ლიტერატურის ურთიერთმიმართება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	■	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის, თანდართული დოკუმენტებისა და პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსთა გაცნობის შემდეგ ვლინდება, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურის შესაბამისად („უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3). სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი. პროგრამით გათვალისწინებული შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას (გვ. 24 პროგრამის თვითშეფასების ანგარიში). პროგრამის ფარგლებში მოცემულ კურსებში, დასახული შედეგების მისაღწევად, გათვალისწინებულია შეფასება შუალედური - საუდიტორიო აქტიურობა, შუალედური გამოცდა, საშინაო დავალება, ქვიზი, პრეზენტაცია (კურსი - „აუდირება და წარმოთქმა) და დასკვნითი - კომპონენტები: ტერმინთა განმარტებები, დახურული ტიპის შეკითხვები, ღია ტიპის შეკითხვა, წინადადების ანალიზი (კურსი - ენათმეცნიერების შესავალი) გამოცდების სახით.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა კურსის თავისებურებებს ითვალისწინებს (მოსმენის უნარ-ჩვევები (სწორი/არასწორი), პრეზენტაცია - ადეკვატური ინგლისური (ლექსიკა, გრამატიკა, სიტყვების წარმოთქმა) კურსი - “აუდირება და წარმოთქმა”). კურსების ფარგლებში მოცემული შეფასებები გამჭვირვალეა და სანდო. შეფასებაში მოცემული ქულობრივი გრადაცია მოიცავს თანდართულ დეტალურ რუბრიკებსა (პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია: თემის შესაბამისობა, საინტერესო შინაარსი, ადეკვატური სტრუქტირა და დროში განაწილება, აუდიოვიზუალური მასალის ხარისხი, ინგლისური ენის ხარისხი, ბუნებრივი ქცევა. კურსი - მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვა) და მათ შესაბამის ვერბალურ ახსნა-განმარტებებსაც (2-3 მოხსენება სრულად შეესაბამება თემას, უაღრესად სიანტერესოა, კარგად არის სტრუქტურირებული; 1- მოხსენება მეტ-ნაკლებად შეესაბამება თემას, მეტ-ნაკლებად საინტერესო, არ არის კარგად სტრუქტურირებული; 0 - მოხსენება სრულიად არ შეესაბამება თემას, ძალიან მოსაწყენია, მოხსენება არ არის სტრუქტურირებული. კურსი - “მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვა”).

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ორ ეტაპად: შუალედური და დასკვნითი შეფასება. შუალედური შეფასება მოიცავს ორ კომპონენტს: საბაკალავრო ნაშრომის კვლევითი პროექტის წარდგენა და სტუდენტის მიერ ნაშრომზე მუშაობის შეფასება ხელმძღვანელის მიერ. სტუდენტის დაშვება დასკვნით შეფასებაზე (დაცვაზე) ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 21 ქულას. ნაშრომის დასკვნითი შეფასება (დაცვა) ხდება

კომისიის მიერ შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. საბოლოო დადებითი შეფასების მისაღებად დამატებითი პირობაა ის, რომ დასკვნითი შეფასება უნდა იყოს არანაკლებ 21 ქულისა (საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი). პროგრამის სილაბუსთა გაცნობისას და სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ სტუდენტები შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს წინასწარ ეცნობიან ლექტორებისგან და ონალინ პლატფორმის - https://smart.ibsu.edu.ge/ დახმარებით. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირების შედეგთა გათვალისწინებით ასევე გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე უნივერიტეტში არსებული სისტემით Plagiat.pl Sp z o.o. და პლაგიატის დასაშვებ ნორმად განსაზღვრულია 10%.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა საგამოცდო ოთახები, სადაც სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოცდისთვის საჭირო გარემოში მოახდინონ საგამოცდო საკითხებზე მუშაობა. საგამოცდო პროცესები რეგულირდება უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების წესის დოკუმენტის მიხედვით (გამოცდების ჩატარების წესი).

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ქულობრივ შეფასებასთან ერთად მიიღონ ვერბალური უკუკავშირი და კონსულტაცია მათ გასაუმჯობესებელ და ძლიერ მხარეებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი სტუდენტებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროსაც აღინიშნა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სემესტრის მსვლელობისას მიმდინარე ქულობრივ შეფასებებს გაეცნონ ელპროგრამის - https://sis.ibsu.edu.ge დახმარებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული ელპროგრამის გამოყენება სწავლების ონალინ ფორმატშიც. დისტანციური სწავლების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტის გათვალისწინებით (გვ. 15. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტი). პროგრამის თვითშეფასებისა და ინტერვიუთა ანალიზის შედეგად დგინდება, რომ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის განცხადებით მიმართვის გზით. გასაჩივრებამდე, სტუდენტმა უნდა მიიღოს უკუკავშირი ლექტორისაგან. სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები, რომლის შემდეგაც შემფასებელს/კომისიას ეძლევა 5 (ხუთი) სამუშაო დღე შეფასების განხორციელებისათვის. შეფასების პროცესში შემფასებელი/კომისია ვალდებულია მოისმინოს ლექტორის დასაბუთება. შემფასებელს/კომისიას უფლება აქვს შეფასება დატოვოს ძალაში, შეცვალოს საუარესოდ ან პირიქით (გვ. 25. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ახდენენ შეფასების შედეგთა ანალიზს, რაც მიმართულია სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა;
- მასწავლებლის მომზადების პროგრამა;
- სილაბუსები;

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები;
- გამოცდების ჩატარების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი);
- საბაჯალავრო ნაშრომის სილაბუსი);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	■	□	□	□

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	□
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	□
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	□

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, დასტურდება, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მათი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებენ შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

პროგრამის სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომელზეც მათ მიეწოდებათ ძირითადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ. უსდ-ში საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდება როგორც სემესტრის დასაწყისში, წინასწარ შემუშავებული გრაფიკით, ასევე ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე. პროგრამის სტუდენტები სისტემატურად და დროულად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. ამ მიმართულებით უსდ-ში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო ტიპის შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან. აკრედიტაციის ვიზიტისას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით არსებული შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტებს ეძლევათ ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს და უცხოურ შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ, რათა, სურვილის შემთხვევაში, მოხდეს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა.

ადმინისტრაციული და აკადემიური საკითხების გადასაწყვეტად შესაბამისი რჩევების მიღება სტუდენტებს შეუძლიათ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანატში და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

უსდ-ში მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები - კურსდამთავრებულთან ურთიერთობის დეპარტამენტი, კარიერის დაგეგმვის სამსახური, IBSU ტრენინგ ცენტრი. სტუდენტური სერვისების ფარგლებში, ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა დეტალური ინფორმაცია, როგორც აკადემიური მიმართულებით, ისე კურიკულუმს გარეშე და სტუდენტური ცხოვრების აქტივობების ირგვლივ საჭირო საკითხების მიმართულებით. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და სხვა აქტივობების შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ინგლისური ფილოლოგიის სფეროს

სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია, ზოგადად საერთაშორისო გამოცდილების მიღების კუთხით სტუდენტების მეტად გააქტიურება (იხ. 1.1. სტანდარტი).

საკონსულტაციო დღეების და საათების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უსდ-ში პერსონალის მიერ ხორციელდება დროულად, დადგენილ ვადებში. საკონსულტაციო დატვირთვების მოცულობა და კვირეული განაწილება ასახულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის დოკუმენტებში. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები. პროფესორსა და სტუდენტს შორის უზრუნველყოფილია მუდმივი კომუნიკაცია ელექტრონული პროგრამის - https://smart.ibsu.edu.ge/ საშუალებით. აკადემიური/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მზაობა საკონტაქტო და საკონსულტაციო საათების მიღმა, უპასუხონ სტუდენტების საჭიროებებს, გაუწიონ მენტორობა როგორც სასწავლო კომპონენტების ფარგლებში წარმართული სამუშაოებისას, ასევე კლასგარეშე პროექტებში მონაწილეობისას.

აღსანიშნავია, რომ უსდ-ში არსებობს სტუდენტური კლუბის "Lingo Quest", რომელიც დაარსებულია ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მიერ პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივითა და ხელშეწყობით. პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნულ კლუბს განსაკუთრებით დადებითად აფასებენ, როგორც სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებისა და განვითარების შესაძლებლობას.

ამასთან, უსდ-ში ყოველსემესტრული ხასიათი აქვს სტუდენტთა გამოკითხვებს მათი კმაყოფილებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის დადგენისა და შესაძლო გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან;
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- სტუდენტების პროექტებში / კონფერენციებში ჩართულობის და ჩატარებული ვებინარების ანგარიში;
- ინტერნაციონალიზაციის შესახებ ანგარიში;
- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ibsu.edu.ge/en/.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	■	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეფასებულა

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	■	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის

რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისა და დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოცდილება და კვალიფიკაცია შეესაბამება იმ სასწავლო კურსების მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამაში.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე თითოეული პირის - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდელობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით (სამუშაოს აღწერილობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის პირადი საქმეები და ა. შ.). უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი, მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს. აღწერილია კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, განათლება და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 41 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 16 აკადემიური და 25 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 5 პროფესორი (5 აფილირებული პროფესორი) და 10 ასოცირებული პროფესორია. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ასევე 5 უცხოელი სპეციალისტი, აქედან ერთი სპეციალისტი ჩართულია ამერიკის საელჩოს პროგრამის “English Fellow” ფარგლებში, რომელსაც მიჰყავს პრაქტიკული კურსები პროგრამის აფილირებულ პროფესორთან ერთად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში და შესაბამისად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისა და დატვირთვის განაწილებას

საფუძვლად უდევს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია). დადგენილი/განსაზღვრული დატვირთვისაგან განსხვავებული დატვირთვა შესაძლებელია დადგინდეს რექტორთან შეთანხმებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებთან საკონსულტაციო საათები. აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი, პროგრამის სტუდენტთა განსაზღვრული საერთო რაოდენობა (160 სტუდენტი), ქმნის შესაბამის თანაფარდობას პროგრამაში ჩართულ ადამიანურ რესურსთან. შესაბამისი მონაცემი კი ქმნის შესაძლებლობას, უზრუნველყოფილი იქნას საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელება.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორია. მას გააჩნია, პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რაც დასტურდება მასთან ინტერვიუს შედეგად. იგი ჩართულია პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში. იგი მონაწილეობდა Black Sea Cross Border Cooperation პროექტში და ასევე აქტიურად იღებს მონაწილობას შავი ზღვის უნივერისტეტის საერთაშორისო ყოველწლიურ კონფერენციებში. უწყვეტი პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, იგი უშუალოდ უწევს კოორდინაციას ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ძირითადი კურსების ფუნქციონირებასა და მათ შესაბამისობას საერთაშორისო მოთხოვნებთან.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით, რაც ასახულია მათ CV-ში. ამავდროულად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ პერსონალის უმრავლესობა უნივერსიტეტში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. მათი ჩართულობა გულისხმობს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, პროგრამის სტრუქტურის, პროგრამის კომპონენტების სემესტრული განაწილების, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების, თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების შეფასებას, აღნიშნულთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და რჩევების პროგრამის ხელმძღვანელისთვის გაზიარებას. მათთან ინტერვიუებით დასტურდება , მათი რეკომენდაციები არაერთხელ იქნა გათვალისწინებული და ასახული პროგამის შესაბამის დოკუმენტაციაში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			მქონე პერსონალი[6]	
სულ აკადემიური პერსონალი	**41**	**11**	**11**	**5**
- პროფესორი	5	2		
- ასოცირებული პროფესორი	10	3		
- ასისტენტ-პროფესორი	1			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	25	6		_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომები), პუბლიკაციების სია;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე, პუბლიკაციების სია და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი);
- აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელითან ინტერვიუ;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	■	□	□	□

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

არ შეფასებულა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის განვითარებასა და ხელშეწყობასთან ერთად, ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი რეგულარულად ახდენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას. აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს აფასებს როგორც ადმინისტრაცია, ისე სტუდენტი (საუნივერსიტეტო პორტალზე - sis). მათ შემუშავებული აქვთ სპეციალური კითხვარები სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების მიზნით. გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ ლექტორის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, გამოყენებულ ლიტერატურას, სასწავლო კურსის მსვლელობის სილაბუსთან შესაბამისობას, სასწავლო კურსით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, შეფასების სისტემის ადეკვატურობას და ა.შ. მონაცემების გაანალიზებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი და გასცემს რეკომენდაციებს თითოეულ პედაგოგთან ინდივიდუალურად.ასევე ხორციელდება ლექციებზე ურთიერდასწრება (სპეციალური ფორმა შეფასების), საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის მიზნით.

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველი აკადემიური წლის ბოლოს. აკადემიური პერსონალი ვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგინოს აკადემიური საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ნაშრომების, პუბლიკაციების, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის, განხორციელებული პროექტების, კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის თითოეული კომპონენტისთვის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დადგენილია შესაბამისი ქულები.

დაჯამებული შედეგების ანალიზი, ასევე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ანგარიშის სახით გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას. ხარისხის უზუნველყოფის სამსახურთან ერთად იგეგმება შედეგების გაანალიზებისას აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებაზე. იგი კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნასა და ხარისხზე ორიენტირებული კვლევის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და სასწავლო პროცესთან მის ინტეგრაციას; უნივერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვასა და მართვას. კერძოდ, ფინანსურად წახალისებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება, აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, წიგნებისა და სახელმძღვანელოების შექმნა. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისა და სამეცნიერო საქმიანობის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია სამეცნიერო აქტივობების (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაციების გამოქვეყნება რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში) დაფინანსების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ,,აკადემიური პერსონალის წახალისების დებულებას". უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია და იბეჭდება მოხსენებათა კრებული, პერსონალი აქტიურად მონაწილეობს კონფერენციებში და აქვეყნებს

პუბლიკაციებს საერთაშორისო ჟურნალებში; უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება ტრენინგები და კონფერენციები აკადემიური პერსონალის პროფესული განვითარების მიზნით.პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესს. ისინი ჩართულები არიან ისეთ საგრანტო პროგრამებში, როგორიცაა Erasmus, TEMPUS, Black Sea Cross Cooperation, Visegarn.. ასევე პერსონალი მონაწილეობს: 'Open World Program', Civic and Tech Through English Language, Fulbright Scholarship, TESOL TEMPUS CACEDE გაცვლით პროექტებში.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი სარგებლობს ფინანსური ხელშეწყობით: აფილირებული პირის მიმართვისა და ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, 3000 ლარის ფარგლებში, უფინანსებს აფილირებულ პირს კონკრეტულ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას.ასევე აღსანიშნავია, რომ მოწვეული პერსონალიც სარგებლობს ფინანსური წახალსებით. ბოლო ორი წელია უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით გაიზარდა იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვა. ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულია 48 ნაშრომი, საერთაშორისო ჟურნალებში 28, ადგილობრივ კონფერენციაში 16 მოხსენება., საერთაშორისო კონფერენციაში 73 მოხსენება. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს როგორც პერსონალის პროფესიულ ზრდას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. შავი ზღვის საერთშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობასა და პარტნიორი უნივერსიტეტების ფართო არჩევანს სთავაზობს. საკმაოდ შთამბეჭდავი და მრავალფეროვანია პარტნიორი უნივერსიტეტების ჩამონათვალი https://iro.ibsu.edu.ge/en/partner/international-partners პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, დაგეგმილია უნივერისტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისთან თანამშრომლობის გაღრმავება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გაცვლითი ვიზიტებისა და ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით; აღსანიშნავია, რომ სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის წახალისებისა და ფინანსური თანამონაწილეობის უზრუნველყოფისთვის პროგრამის ბიუჯეტში მოხდა შესაბამისი მიზნით თანხის გამოყოფა..

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური წახალისების დებულებაში, (რომელიც ადგენს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წახალისების წესსა და ოდენობებს. და რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებასა და წაახალისოს უნივერსიტეტში კვლევის ზოგადი დონის გაუმჯობესება) აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, განისაზღვრა წახალისების გაცემის წესი და ოდენობა შზსუ-ს პერსონალის მიერ საგრანტო პროექტის მოზიდვის შემთხვევაში. ასევე, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევიდა დებულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა აკადემიური საქმიანობის წახალისების თანხების გაზრდას, ასევე წახალისების თანხის მიღების პროცედურების გამარტივებას. მხოლოდ სამი თვის მონაცემებით, 2021 წლის მაისსა, ივნისსა და ივლისში ჯამურად შეადგენს: 7,363 ₾ უნივერსიტეტის 6 აკადემიური პერსონალისთვის, ხოლო რამდენიმე განცხადება განხილვის ეტაპზეა (26 .07.2021 მონაცემებით) უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის

სტრუქტურაში და სასწავლო და სამეცნიერო დარგში პრორექტორის აპარატის სტრუქტურის ქვეშ შეიქმნა კვლევითი პროექტებისა და ინოვაციების სამსახური. აღნიშნული სამსახურის ძირითადი მიზნებია ფაკულტეტებისა და აკადემიური პერსონალისთვის კვლევითი პროექტების მოძიება, კვლევისა და სწავლების მიმართულებით ინოვაციური იდეების შემუშავება-განხორციელებაში ხელშეწყობა, სამსახური მის კომპეტენციაში შემავალი ფუნქციების ფარგლებში, სხვა აქტივობებთან ერთად, ასევე ახორციელებს კვლევითი პროექტების მოძიებას და ინფორმაციის მიწოდებას ფაკულტეტებისა და აკადემიური პერსონალისთვის; ახდენს კონსულტაციების, ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩატარებას; უზრუნველყოფს ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების დანერგვას კვლევისა და სწავლების მიმართულებით; ეხმარება ფაკულტეტებს და მის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კვლევითი გრანტებისათვის განაცხადის მომზადების პროცესში სასწავლო და სამეცნიერო დარგში პრორექტორის და სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის ორგანიზებით ჩატარდა ვებინარები აკადმიური პერსონალისთვის.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი უწყვეტად აფასებს პერსონალს, ახდენს მათ პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობის ყოველწლიურ შეფასებას, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასების კითხვარი;
- სტუდენტთა გამოკითხვის (ლექტორების შეფასება) შედეგების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური ანგარიშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია;
- სტუდენტებთან ინტერიუები;
- ეკადემიურ პერსონალთან ინტერვიუ;
- ინტერნაციონალიზაციის ანგარიში;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	■	□	□	□

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დაწესებულებაში განხორციელებულმა ვიზიტმა ცხადყო, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს დადასტურდა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზით. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://library.ibsu.edu.ge/eg/opac/home); (https://www.ibsu.edu.ge/library/about-us/). ბიბლიოთეკის ვერ-გვერდი). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პანდემიამდე ათვისებული ქონდათ ონლაინ რესურსები, და შესაბამისად სწრაფად მოახდინეს ციფრულ პროცესებთან ადაპტირება: მასალის /სასწავლო რესურსების გაციფრულება, ტესტების ბანკის შექმნა და ციფრული SMART პროგრამის ეფექტურად გამოყენება.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან / და ბეჭდური ფორმით. Smart way of learning პროგრამაში განთავსებულია ლექტორების მიერ მომზადებული პრეზენტაციები და სხვა დამხმარე მასალა. პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რაც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

რესურსების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ კონკრეტულ სემესტრში მოქმედი ყველა სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია უნივერსიტეტის პორტალზე. საბიბლიოთეკო რესურსები მუდმივად განახლებადია საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებების გათვალისწინებით. უნივერისტეტის ბიბლიოთეკა ფლობს რამდენიმე სამეცნიერო ელექტრონულ ბაზასთან წვდომას: Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding institutional); Cambridge Journals Online; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; Edward Elgar Publishing Journals; SAGE Journals; IMechE Journals; Royal Society Journals Collection; e-Duke Journals Scholarly Collection; Mathematical Sciences Publishers Journals; Openedition Journals და Heinonline.

ინტერვიუების დროს დადგინდა რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა შესახებ. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ მიეწოდებათ საორიენტაციო შეხვედრისა და „კოორდინატორის საათის "დროს. ასევე სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტები და პერსონალი ინფორმირებულია, რომ შეუძლია გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული რესურს-ცენტრი, თავისუფალი სივრცეები.

შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა საბიბლიოთეკო და მატერიალურ რესურსებზე. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია ადეკვატური ფინანსური და მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესის გამართული მუშაობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტებს მიეწოდოს პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- უნივერსიტეტის კომპიუტერული კლასები და ლაბორატორია;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კატალოგი და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ელექტრონული ბაზები;
- ინტერვიუები სტუდენტებთან დააკადემიურ პერსონალთან
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	■	□	□	□

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესი დეცენტრალიზებულია, რაც გულისხმობს, რომ ბიუჯეტირების პროცესში უნივერისიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია უფლებამოსილება წინასწარ განსაზღვრული ფინანსური ლიმიტების, მისი უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს შემდეგი წლის ხარჯების სახეები და სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისთვის საჭირო სამეცნიერო/ კვლევით ხარჯებსა და საგანმანათლებლო მხარდაჭერის ხარჯებს.

პროგრამის აკრედიტაციისთვის გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში ხელმისაწვდომია ინფორმაცია პროგრამის ბიუჯეტის შესახებ, რომელშიც გაწერილია უნივერსიტეტის მიერ პროგრამის მხარდაჭერა; ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები.პროგრამის განხორციელებისთვის ყველა საჭირო რესურსი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია; ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, რადგან იგი მხარდაჭერილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შემოსავლებით. პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის უდიდესი რესურსი იხარჯება ახალ, თანამედროვე ლიტერატურისა და სასწალო რესურსის შეძენაზე, რაც ამდიდრებს ბიბლიოთეკის საფონდო ფონდს და ამასთანავე ხელს უწყობს სწავლების თანამედროვე მეთოდების მრავალფეროვნებას.

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ადმინისტრაცია დაინტერესებულია პროგრამის მდგრადობით. იგი ფლობს მექანიზმებს, საჭიროების შემთხვევაში პროგრამას ფინანსური დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან. ასევე ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტები, უნივერსიტეტის სტრუქტურით გათვალისწინებული სამსახურები, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და პროგრამების საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას. პროგრამის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანთან ერთად. ბიუჯეტის შედგენისას ხდება პროგრამის საჭიროებების შეფასება, პრიორიტეტული ხარჯების გამოყოფა და გათვალისწინება. ასევე, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამისა და ფაკულტეტის შემოსავლების გათვალისწინება.

დასკვნის სახით, პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს. პროგრამა ფინანსურად მომგებიანია რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის 2021/2022 წლის ბიუჯეტი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	■	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შავი ზღვის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ***ინგლისური ფილოლოგია*** პროგრამის პორტფოლიო და თვითშეფასების ანგარიში და დანართი დოკუმენტები იყო მოცულობითი, დეტალური და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციისა და ძირითადი საზრისის გასაგებად. გარდა დოკუმენტაციისა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საექსპერტო შეხვედრების მართვის პროცესში წარმოაჩინა ზედმიწევნით აქტუალური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო ფორმირებაში, რაც განპირობებულია უწინარეს ყოვლისა იმით, რომ დაწესებულებაში შემუშავებულია რეგულაციები და მათი პროცესუალური აღსრულების პროცედურული დოკუმენტაცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამუშაო პროცესები გულისხმობს: სწავლა-სწავლების, კვლევის, მართვისა და სერვისების სფეროს. სამსახურის მიერ წინამდებარე პროცესების სრულყოფილად განვითარების მიზნით მომზადებულია და შეთავაზებულია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთაც საფუძვლად უდევს არამარტო საერთაშორისო რეგულაციები და დოკუმენტები, არამედ საქართველოს კანონდებლობის მნიშვნელოვანი წესები და რეგულაციები, რომელიც საფუძველს ქმნის უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის, ემყარება რა უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებს, დარგების სპეციფიკას, საზოგადოების მოთხოვნებსა და უახლეს გამოწვევებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.

საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არეგულირებს, აწესრიგებს და მართავს ყველა მნიშვნელოვან აკადემიურ პროცესს საუნივერსიტეტო სივრცეში, ითვალისწინებს რა საფაკულტეტო და დარგობრივ სპეციფიკას, აფასებს კონკრეტულ პროცესებს და ავითარებს მათ კონკრეტული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა აისახება ***უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქციაში***. წინამდებარე დოკუმენტები ემყარება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციებს. სამოქმედო დოკუმენტების განახლება ხდება პერიოდულად განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და უსდ-სთვის წაყენებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად, რასაც ასევე ხელმძღვანელობს სამსახური. მათ შორის ცალკეული დოკუმენტების განახლება მოხდა 2022 წლის გაზაფხულზე, რაც გამოწვეული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე სიახლეებითა და გამოწვევებით.

აღსანიშნავია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გაზრდის ტენდენცია, თუმცა ასევე თვალში საცემია სამსახურის ვერტიკალური და ჰორიზონტალური განვითარება და მრავალმხრივი დატვირთულობა ინსტიტუციის ფარგლებში. ხარისხის სამსახურის ინსტიტუციური საქმიანობა კარგად ჩანს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებში მოცემული ცალკეული საუნივერსიტეტო სტრუქტურის აღმწერ მუხლებში, სადაც სამსახური გარკვეულწილად მხარს უჭერს და მონიტორინგის ფუნქციით თანამშრომლობს საუნივერსიტეტო სტრუქტურებთან. ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურს დეტალურად აქვს სამსახურის მოქმედების შიდა მექანიზმები გაწერილი. სამსახური მუშაობს პრინციპით: ***დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე.***

შიდა მექანიზმების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებას, კვლევების შედეგების ანალიზს. ანალიზის მონაცემები უშუალოდ ზიარდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. შედეგების (მათ შორის ბაზრის კვლევის.) გაცნობის შემდეგ იგეგმება პროგრამის განვითარების ახალი ეტაპი. სამსახური მუდმივ კომუნიკაციაშია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და იხილავს არამარტო კვლევის შედეგებსა და მათ გაუმჯობესების საკითხებს, არამედ სამსახურთან ერთად იგეგმება მათი გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, ის უზრუნველყოფს ყველა საუნივერსიტეტო პროცესის მხარდაჭრას. მასალების გაცნობის შემდგომ გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, კერძოდ, კვლევები აღნიშნულ ინსტიტუციაში ხორციელდება ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, კავკასიის უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჩართულობით) ფარგლებში, რაც მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ბაზრის განვითარების თანაზომიერი და მიზანმიმართული განვითარებისათვის. დაწესებულების კვლევები იგეგმება და ხორციელდება სოციალური მეცნიერების ცენტრთან თანამშრომლობით. გამომდინარე იქიდან, რომ მკვლევართა ჯგუფის პროფილი სრულიად ფარავს თავისი გამოცდილებით კვლევის პროცედურებსა და მეთოდოლოგიას, შრომის ბაზრის კვლევა ამომწურავად პასუხობს მის მიმართ დასმულ ამოცანებს. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ მასალის ანალიზისას მაქსიმალური ჩართულობა იყო პროგრამის განმახორციელებელი პირების მხრიდან, რაც უდაოდ მისასალმებელია გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები სწორად ხედავდნენ საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებლობას, მის პოზიტიურ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების წესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის როგორც მომზადების, ისე მისი განახლებისა და შეფასების პროცესები. წინამდებარე დოკუმენტი თანმიმდევრულად გადმოსცემს აკადემიური პროგრამების სტანდარტების თავისებურებებს.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებსა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. მნიშვნელოვანია ინსტიტუციის მხარდაჭერა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების საქმეში, მათ შორის მათი მხარდაჭერა მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის აქტუალურ და სწრაფად განვითარებად თემებსა და საკითხებს, რაც ხელს უწყობს ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის ამაღლებას.

შიდა შეფასების მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ ინსტუტუციას შიდა შეფასება მიაჩნია გარე შეფასების კარგ წინაპირობად, რასაც რეალურად ახორციელებს კიდეც, შედეგებსაც წარმოადგენს ანალიზის ფორმატში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალი შეთავაზება არ არის ინსტიტუციის მხრიდან, მასში დიდი წილია სიახლის, კერძოდ, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მასწავლებლის 60-კრედიტიან მოდულს, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ახალი გამოწვევაა კანონმდებლობაში შესული ცვლილებების საფუძველზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივ კომუნიკაციაშია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, აცნობს მათ საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სიახლეებსა და გამოწვევებს, ისევე როგორც აქტიურადაა ჩართული მათ დაძლევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქცია·;
- იხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (გამოკითხვები, ბაზრის კვლევა, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის ანალიზი;);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები და ფაქტობრივი ვითარება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	■	□	□	□

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედი იყო, პროგრამის განმახორციელებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მისი აკრედიტაციის პროცესში შეფასების, რაც მათი მხრიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად ითვლება ავტორიზაციის პროცესთან ერთად, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. დაწესებულება მუდმივად ამახვილებს ყურადღებას გარე შეფასების შედეგებზე, რაც წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში არ გამორჩენიათ პროგრამის განმახორციელებელ პირებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში განმახორციელებელი პირები შეეცადნენ, ასევე გარე შეფასების სხვა მექანიზმები აემუშავებინათ. მათ დანართების პორტფოლიოში წარმოდგენილი აქვთ კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. უნდა აღინიშნოს რომ საგანმანათლებლო პროგრამის 36 კურსდამთავრებულიდან გამოკითხულია 32, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ხარისხის სამსახურის აქტიურ თანამშრომლობას პროგრამით დაინტერესებულ მხარეებთან და სტუდენტებთან. კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია დარგობრივად (44%), თან ისეთი მოცემულობით, სადაც სამუშაო პროცესში უცხოურ ენას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. მნიშვნელოვანია პროგრამის ახალი აკრედიტაციის შემდგომ კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, ვინაიდან მათი დასაქმების არეალს ახალი სივრცე, კერძოდ, კი საჯარო სკოლები ემატება.

ასევე მნიშვნელოვანი სტატისტიკა მოგვაწოდა უსდ-მ იმ სტუდენტებზე, რომელთაც უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე განაგრძეს სწავლა, რაც არც ისე ხშირია, საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტიზის პროცესში. საკმაოდ დიდი ნაწილი სტუდენტების სწავლას განაგრძობს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე არამარტო შავი ზღვის უნივერსიტეტში, არამედ სხვა უსდ-ში, რაც დაწესებულებაში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობაზე მეტყველებს თავისი შინაარსითა სხვა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში. ის, რომ დაწესებულება მოცემულ სეგმენტში რეალურად ფარავს სხვა ქართული უმაღლესი სასწავლებლების მოთხოვნებს განპირობებულია იმითაც, რომ დაწესებულების აკადემიური პერსონალი მუდმივად ცდილობს შედარებითი კვლევებით მონახოს ინსტიტუციური ნიშა არამხოლოდ ქართულ, არამედ უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში. ექსპერტთა ჯგუფი გაცენო შედარებით ანალიზს, სადაც შეფასებული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ახალი კურიკულუმი 6 ქართული (3 სახელმწიფო და 3 კერძო: თსუ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი და კავკასიის უნივერსიტეტი) და 5 (ლატვიის, ოქსფორდის, ვროცლავის, კინგსის კოლეჯის, ვისტულას უნივერსიტეტი) დასავლური უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებთან. უნივერსიტეტების შერჩევა არ მომხდარა ნებისმიერად, მას საფუძვლად დაედო კონკრეტული მეთოდოლოგია. ანალიზმა აჩვენა დიდ წილად მსგავსება ქართულ უნივერსიტეტებთან, რაც უწინარესად ხელს შეუწყობს სტანდარტიზაციისა და სტუდენტთა მობილობის საკითხს. გამოიკვეთა, რომ წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა უმეტესად პრაქტიკაზე ორინტირებულ სასწავლო კურსებს მოიცავს, რაც ასევე სტუდენტთა გამოკითხვების ერთ-ერთი მოთხოვნაც იყო.

რაც შეეხება უცხოური ანალოგების ანალიზს, პროგრამა თავისი სტრუქტურითა და სასწავლო კურსებით მეტად მოქნილია და ნებისმიერ შემთხვევაში არ ჭირს სტუდენტთა მობილობა უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში.

ასევე წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები (გამოიკითხა 9 ობიექტის წარმომადგენელი), რომელშიც დეტალურადაა წარმოდგენილი ვრცელი კითხვარის

დეტალური რეკომენდაციები. გამოკითხულთა დიდი ნაწილი იყო საჯარო სკოლების წარმომადგენლები, რომელთაც პოზიტიური შეფასება მისცეს უსდ-ს წარმომადგენლებს. ინტერვიუების დროს მათ აღნიშნეს, რომ კურსდამთავრებულთა მაღალი დარგობრივი კომპეტენცი არის წინაპირობა, რომლის საფუძველზე აქამდე საკუთრივ სასწავლო დაწესებულებები ზრუნავდნენ დასაქმებულთა მოტივაციაზე, რათა მათ გაევლო სასერთიფიკატო გამოცდა, ხოლო ამ ეტაპზე საჯარო სკოლების წარმომადგენლები ცალსახად მიესალმებიან პროგრამის ამგვარ მოდიფიკაციას. გამოკითხვების შედეგები მიეწოდება რეგულარულად პროგრამის განმახორციელებელ პირებს, დგება შესაბამისი ფოკუს-ჯგუფები და ეწყობა ცალკეული რეკომენდაციების განხილვა.

კიდევ ერთი მექანიზმი, რაც დაწესებულებას არ გამორჩენია, იყო გარე დარგობრივი შეფასება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ასოც. პროფ. ნ. ნიჟარაძე (აწსუ), ასოც. პროფ. ა. კ. შევცოვა (ბელორუსი). ორივე ექსპერტი ძირითადში საგანმანათლებლო პროგრამას აფასებს დადებითად, თუმცა მათ მიერ ასევე შემოთავაზებულია რჩევები, რაც დაწესებულების მხრიდან ძირითადში გათვალისწინებულია, სხვა შემთხვევაში დაწესებულებასა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს აქვთ კონკრეტული არგუმენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქცია;
- პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და რეკომენდაციები;
- დარგის სპეციალისტების გარე შეფასება და რეკომენდაციები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (გამოკითხვები);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;
- ფაქტობრივი ვითარება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება	■	□	□	□

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, რომელთა შედეგების დამუშავება და ანალიზი რეგულარულ წარმოდგენას იძლევა პროგრამის რეალურ ვითარებაზე.

მონიტორინგის ფარგლებში ყოველსემესტრულად უნივერსიტეტის ელექტრონულ სასწავლო პლატოფრმაზე smart ბაზაში შეფასებას ექვემდებარება:

- ბაზაში სილაბუსების და სასწავლო მასალების დროული ატვირთვის საკითხი;
- სასწავლო კურსებში სტუდენტების შეფასების ქულების გადანაწილება (grade distribution);
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითვების ანალიზი;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასება;
- სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასება;
- გამოცდების შედეგების ანალიზი;
- საგამოცდო პროცესის დაკვირვება;
- სასწავლო პროცესის დაკვირვება;

კვლევების შემდგომ ინიშნება სამუშაო შეხვედრები მიზნობრივ ჯგუფებთან, განიხილება და საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები გადაეცემა ფაკულტეტს რეაგირებისთვის. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამა დაექვემდებაროს მოდიფიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის ***ინგლისური ფილოლოგია*** მონიტორინგი სრული დაწესებულებას არ დასჭირვებია, თუმცა პერიოდულად ხარისხის მექანიზმების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული თემები მოითხოვდა გადახედვას, რასაც ხარისხის უზრუნვლეყოფის სამსახური მიზანმიმართულად ახორციელებდა. მოცემულ ეტაპზე სასურველი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის ცვლილებიდან გამომდინარე დაწესებულებამ დამატებითი მოდულის ამოქმედების შემდეგ განახორციელოს მონიტორინგი და იმსჯელოს ახალი მოცემულობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და დასახვეწ დეტალებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები;
- პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები და ფაქტობრივი ვითარება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, თუ დაწესებულება გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციიდან დამატებითი მოდულის ამოქმედების შემდეგ განახორციელებდა მონიტორინგს და იმსჯელებდა ახალი მოცემულობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და დასახვეწ დეტალებზე

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	■	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ინგლისური ფილოლოგია

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	■	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	■	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	■	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■	☐	☐	☐

<u>ხელმოწერები:</u>
<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ჯოჯუა

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა:მარიამ კილანავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფიო ბაზაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ქიმერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ჯავახიშვილი